ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 9 № 189

წელიწადი მეოთხე

ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 9 № 189

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

მოსკოვიდან მოსულ ცნობით ჰინდენბურგის ხაზი მოკავშირეებმა გადალახეს.—იმავ წყაროს ცნობით არგონებში ამერიკელებმა ცხრა და სწრაფი იერიშები განაცხოველეს.—გერმანელები უკან იხევენ.—სერბიაში ინგლისელები ქ. ნიშს მიუახლოვდნენ.—ცნობაა თითქოს ოსმალები დასთანხმდნენ კავკასიის გაწმენდაზე.—ვენიდან მოსულ ცნობით ბულგარეთის მეფემ ფერდინანდმა სამეფო ტახტი თავის შვილს ბორისს დაუთმო.—ბერლინში იმპერატორ ვილჰელმის თავმჯდომარეობით შედგა უმაღლესი სამეფო საბჭო.—პრინც ბადენელმა საბოლოოდ თანხმობა გამოაცხადა კანცლერობაზე. სამინისტრო შესდგება უმთავრეს პარტიათა წარმომადგენლებისაგან.

7 ღვინობისთვეს, დილის 9 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნატალია დავითის ასული

ავალიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი იულია ივანეს ასული ბარათაშვილისა, ძმა ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი, და მისი: ეკატერინე სულხანიშვილისა, ბარბარე ბაგრატიონ-დავითაშვილისა, ნინო ქიქოძისა, და ანასტასია ჯანდიერისა მეუღლებითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დავიდოვის შესახვევში სახლი № 12. (12—1795—1)

7 ღვინობისთვეს დილის 9 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნატალია დავითის ასული

ავალიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი მისი ილია ნიკოლოზის ძე ავალიშვილი, დედამთილი მარიამ გიორგის ასული ავალიშვილისა, მული ეკატერინე ნიკოლოზის ასული ვახვახიშვილისა და მაზლი ვასილ ნიკოლოზის ძე ავალიშვილი ოჯახობითურთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დავიდოვის შესახვევი სახლი № 12. (2—1796—1)

ძმები ვლადიმერ და მამუკა გიორგის ძენი, და პელაგია გიორგის ასული, რძალი თეკლე კონსტანტინეს ასული აბაშიძეები. ძმისწული შალვა დავითის ძე აბაშიძე დებით—აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 სექტემბერს (ახალით კი 12 ოქტომბერს) გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

არტილერიის გენერალ-მაიორის

კონსტანტინე გიორგის ძის

აბაშიძის

სულის მოსახსენიებლად.

(შორაპნის მაზრაში) სოფ. სავანის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა დაიწყება 10 საათზე—პანაშვიდი 12 საათზედ. (1—1787—1)

სამხ. ტერო სტუდია

„ლადია არგონავტოვ“

გოლოვინის პროსპექტი 10. სეზონი 1918—19 წ.

სამშაბათს 8 და ოთხშაბათს 9 ოქტომბერს. ახალი პროგრამმა მე-8 ციკლის.

1. სტატისტიკა. შარჟი ე. ვოიტკევიჩის, შეასრ. ე. აფანასიევა-გალიჩი, ს. ი. ლიახოვი.
2. ინტიმიური სიმღერები. შეასრ. ი. ი. ასკოლდოვი.
3. ისპანიური ტრაგიული სიმღერა სიტ. და მუს. ს. კორონასი, შეასრ. მ. ი. სევანოვა-ზელიონაია.
4. „მკვდრეთით აღმდგარი ბოკაჩიო“ ფრესკა მუს. ზენესი ტექსტი ვ. ნ. ცედერბაუმის შეასრ. ბურაგი, ცეხანოვსკაია, ს. ტ. აშხარუმოვა, მ. ი. სევანოვა-ზელიონაია, ნ. ნ. ელენინი, შ. შიხმანი, ა. ა. ლიუბომირსკი, თ. ა. მირტოვი.
5. „Pael Mael“ ანეგდოტებიდან, შეას. დრამის არტისტი ბ. ***.
6. „ვაკხანალია“ მუს. სენ-სენსის, შეასრულებს არტისტკა ბალეტის ქ-ნი ***.
7. „ჰიმნი არგონავტების“ შეასრ. ბ. ***.

ორკესტრს ხელმძღვანელობს თ. ხ. კაცი, მონაწ. ბ. ა. გესსი, ნ. ხ. ბენდიცკი.

დასაწყისი საღ. 8 ს. — შესავალი ბილეთი მაგიდაზე ადგილის დაჯ. 14 მ.

კასა გაღებულია 7 საათამდე. 2—1

ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

„საქართველოს“ კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის ხვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ 10 ღვინობისთვემდე წინაალმდეგ, შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ. 5—5

თბილ. კომიტეტი აცხადებს,

რომ ლოტარიის წიგნაკი № 35 (851—875) რომელიც ჩაბარებული იყო კომიტეტის მიერ ბ-ნ ტ. გოგიტიძესთვის, დაკარგულა.. ყველა ბილეთები, რომელიც ხელმოუწერელი იქნება ბ-ნ გოგიტიძეს მიერ ყალბათ ჩაითვლება. (1026)

თბილ. კომიტეტი აცხადებს,

რომ ლოტარიის წიგნაკი № 21 (501—5251) რომელიც კომიტეტის მიერ გადაცემული იყო კალისტრატე ბერიძესთვის ბილეთების გასასყიდათ, დაკარგულა. ამ წიგნაკიდან ყალბათ ჩაითვლება შემდეგი №№ 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524. (1026)

სახელმწიფო თეატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ან. ლ. ლევიცკის

ოთხშაბათს, ღვინობისთვის 9-ს, დაიდგმის

რიგოლეტო

ოპერა 4 მოქმედებად. მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ზელინსკისა, მოროზოვისა, დობროვოლსკისა, გედევანიშვილისა, ბ-ნნი ზალიპსკი, ორდა, ზუბარევი, ისეცკი, ეზროვი, ბურხატოვი.

დირიჟორი სამოსუდი. — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხუთშაბათს 10—ოქტ., „დუბროვსკი“, პარასკევს 11 ოქტ., „პიკოვაია დამა“.

სახალხო

განათლების სამინისტრო

ამით აცხადებს, თბილისის ვაჟთა და ქალთა უფლებიანი სასწავლებელთა ქართველ მოწაფეების და მათი მშობლების საყურადღებოდ, რომ ასეთ მოწაფეებს ნება ეძლევათ უეგზამენოდ შევიდნენ მთავრობის ქართულ სასწავლებელთა სათახადო კლასებში. (1—1524—1)

კაფე „ერთობა“

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯან-საღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.

ორ თაბ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში“ შვიდ მანეთს მისცემთ,
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პატივს სცემთ.

ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მოაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგვიგვიანდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიასწრებთ. 25—3

ნაფიცი ვექილი

დ. გ. პვირკელია

გადმოვიდა თფილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—1

## გერმანიის საზავო წინადადება

გერმანიამ ერთი ფრთხილი და გაუბედავი ნაბიჯი გადასდგა პარლამენტარიზმისაკენ. ასეთია იმ ცნობის დედა-აზრი, რომელიც გუშინწინ მოსკოვის გზით ბერლინიდან მივიღეთ. კაიზერ ვილჰელმს საგანგებო რესკრიპტით ლიბერალი პრინცი მაქს ბადენელი იმპერიის კანცლერად დაუნიშნავს, ხოლო მემარჯვენე სოციალდემოკრატების ლიდერი შეიდემანი უპორტფელო მინისტრად.

ცნობილია, რომ გერმანია დღემდე ნახევრად კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენს. იმპერიის კანცლერი ინიშნება მონარქის მიერ, პარლამენტარული უმრავლესობის დაუკითხავად, ის უმაღლესი სახელმწიფო მოხელეა და არა პარტიული ლიდერი, ის პოლიტიკურად პასუხს აგებს მონარქისა და არა პარლამენტის წინაშე. ასეთივე მოხელეებს წარმოადგენდნენ დღემდე დანარჩენი მინისტრები ანუ სტატს სეკრეტრები. ბისმარკის სიტყვებით რომ ვსთქვათ, გერმანიის მინისტრები „კანცლერის მომხსენებელი მრჩევლები იყვნენ“.

რასაკვირველია, გუშინწინდელი დეპეშის მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში პოლიტიკური რეჟიმი რადიკალურად შეცვლილიყოს. მთავრობის ახალი მეთაური მაქს ბადენელი არ არის რეიხსტაგის რომელიმე გავლენიანი პარტიის ლიდერი: ბადენის საჰერცოგოს ზედაპალატის თავმჯდომარე ცნობილია მხოლოდ როგორც თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი და ენერგიული მომხრე საზავო პოლიტიკისა. სხვაფრივ გამოკვეთილ პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენს. უფრო დიდი ნიშანდობლივი ძალა აქვს შეიდემანის მოწვევას სამინისტროში: ეს პირველი მაგალითია, რომ კაიზერ ვილჰელმი გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეს მინისტრად ნიშნავს.

მაგრამ არ გვგონია, რომ ამ ნახევარ ზომამ ან შინაურები დააკმაყოფილოს ან მოწინააღმდეგენი. გავიხსენოთ როგორ შესდგა და როგორ დაიშალა გრაფ ჰერტლინგის მთავრობა. მკითხველს ეხსომება, რომ შარშან 19 ივლისს რეიხსტაგმა ცენტრისა, თავისუფალ მოაზრეებისა, სოციალდემოკრატებისა და ეროვნულ ჯგუფების ხმების უმრავლესობით ზავის რეზოლუცია მიიღო. ამგვარად შესდგა ზავის მომხრე პარტიების კავშირი, რომელიც იმპერიალისტებისა და ანექსიონისტების უმცირესობას დაუპირდაპირდა. ამ უმცირესობის მებრძოლ რაზმს კონსერვატორები შეადგენდნენ, ნაციონალ-ლიბერალური კი, თუმცა ზავის რეზოლუციის წინააღმდეგნი იყვნენ, იმ თავითვე ერთგვარ რყევას განიცდიდნენ.

19 ივლისის ვოტუმს მოჰყვა მიხაელისის გადადგომა და ცენტრის კანდიდატის გრაფ ჰერტლინგის კანცლერად დანიშვნა. ჯერ წინასწარ მოლაპარაკების დროს და შემდეგ საპროგრამმო სიტყვაში, რომელიც ახალმა კანცლერმა გასული წლის 24 ნოემბერს რეიხსტაგში წარმოსთქვა, მან უმრავლესობის კავშირს შემდეგი აღთქმა მისცა: საზავო პოლიტიკის წარმოება, საყოველთაო არჩევნების შემოღება პრუსიაში, ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის გატარება რუსეთის ყოფილ პროვინციებში, მუშათა კამერის კანონპროექტის შემუშავება და სამხედრო დებულების შემსუბუქება განსაკუთრებით პრესსისა და კრებებისათვის.

ერთი წლის გამოცდილებამ რეიხსტაგის უმრავლესობა დაარწმუნა, რომ ჰერტლინგს ძალა არ შესწევდა ამ ფართო პროგრამმის განსახორციელებლად. რადიკალური და სოციალისტური პრესსა თითქმის ერთხმად აღიარებს, რომ უკანასკნელი წელი ნამდვილ უნაყოფო უდაბნოს წარმოადგენს, როგორც შინაურს, ისე საგარეო პოლიტიკაში.

მაგრამ შესძლებს თუ არა ლიბერალი პრინცისა და პატრიოტ სოციალდემოკრატის მთავრობა ამ უდაბნოს გამოცოცხლებას? მაქს ბადენელისა და შეიდემანის მდგომარეობა ერთი მხრით თითქო სჯობს ჰერტლინგისა და პაიერის მდგომარეობას: მოწინააღმდეგის გამარჯვებამ დასავლეთის და სამხრეთის ფრონტზე მოდრიკა ნაციონალლიბერალები და მათი ანექსიონისტური გულის თქმა გაანელა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით შტრეზემანი თანახმა არის, რომ უმრავლესობის კავშირს მიემხროს და ზავის რეზოლუციის პლატფორმაზე დასდგეს. ამ გვარად ფართოვდება ის საფუძველი, რომელსაც მთავრობა ეყრდნობა. მაგრამ სწორედ დასავლეთს და სამხრეთის ფრონტის მდგომარება შეიცავს უდიდეს საფრთხეს, როგორც ახალი კანცლერისა, ისე მთელი სახელმწიფოსთვის. ფრანგ-ინგლისელების ჯარმა მიაღწია ჰინდენბურგის სახელოვან ხაზსს, ალაგ-ალაგ კიდეც გადალახა ეს რკინის რკალი. თვით გერმანული გაზეთები ჰფიქრობენ, რომ ფიცხელი მარშალი ფოში არავითარ შემთხვევაში არ შეაჩერებს თავის მძაფრ შეტევას. ბულგარეთის გადადგომამ სრულიად მოშალა მაკედონიის ფრონტი: მოკავშირეები შუაგულ სერბიაში შეიჭრნენ და, გერმანული სამხედრო ცნობის მიხედვით, სერბების მოწინავე რაზმები ქალაქ ვრანიესთან გამოჩნდნენ კიდეც.

ყველაზე სახიფათო ის არის, რომ ნაწილობრივმა გამარჯვებამ დაათრო გერმანიის მოწინააღმდეგეები. ავსტრია-ჰუნგრეთის უკანასკნელ საზავო ნოტას შეთანხმების სახელმწიფოები კატეგორიული უარყოფით შეხვდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობამ რიგიანი პასუხიც კი არ გასცა ბურიანის წინადადებას. მხოლოდ ჟორჟ კლემანსომ საფრანგეთის სენატში წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც ვენის „ნოიე ფრაიე პრესსე“ შემდეგი ფერადებით ახასიათებს: „ეს იყო კვამლით გარშემორტყმულ სამფეხზე მჯდომი პითიას თრთოლა, ეს იყო მღაღადებელი დერვიშის ექსტაზი. შთაგონება იმდენად ძლიერი იყო, რომ მთელი სენატი ნამდვილ საგიჟეთს დაემსგავსა“.—რა გნებავთ თქვენ, ჰკითხავდა კლემანსო სენატორებს; რა უნდათ ჩვენს ჯაგრიან ჯარისკაცებს? კიდევ და კიდევ ძლევამოსილი ბრძოლა იმ წუთამდე, როცა მტერი გაიგებს, რომ არავითარი მოლაპარაკების დაწყება არ შეიძლება დანაშაულობასა და უფლების შორის.

შეთანხმების სახელმწიფოების პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე აშკარად განაცხადეს, რომ საზავო მოლაპარაკებას გამართავენ მხოლოდ გერმანელ ხალხთან და არა მილიტარისტულ მთავრობასთან. დემოკრატიული რეჟიმის დამყარება გერმანიაში აუცილებელი წინასწარი პირობაა, ურომლისოდ ვილსონსა, ლლოიდ ჯორჯსა, კლემანსოსა და სონინოს შეუძლებლად მიაჩნდათ ომის შეწყვეტა. შესრულებულია თუ არა ეს პირობა ჰერტლინგის გადადგომით და მაქს ბადენელის მოწვევით? ვშიშობთ, რომ კლემანსო და მისი მოკავშირეები გერმანელ ლიბერალებსა და ზომიერ სოციალ-დემოკრატებსაც ისევე დამნაშავეებათ სთვლიან, როგორც კაიზერ ვილჰელმსა და მილიტარულ პარტიას. მართალია, ახალი კანცლერი თანახმა არის ვილსონის თოთხმეტი პუნქტი მიიღოს, მაგრამ შეთანხმებისათვის, როგორც ცნობილია, მარტო ერთი მხრის კეთილი სურვილი როდი კმარა. თვით ვილსონი დღეს ბევრად უფრო შეურიგებელია, ვიდრე ამ ორი წლის წინად იყო, როცა თეთრი სასახლიდან სენატში წავიდა და ჰუმანიური სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ამტკიცებდა, რომ დიდი ევროპიული ომი არც ერთი მხრის გამარჯვებით არ უნდა დამთავრდესო. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატორი თავის თავს გამარჯვებულთა რიცხვში სთვლის. გამარჯვებულნი კი ულმობელნი არიან.

ამას გარდა, როგორც ცნობილია, ვილსონის თოთხმეტი პუნქტი თავიანთთვის სავალდებულოდ არ უცვნიათ შეთანხმების სახელმწიფოებს. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ ჰერტლინგსაც ისეთივე უდიერი პასუხი გასცენ, როგორიც ბურიანს გასცეს. ეს დიდათ სავალალო იქნება ადამიანური თვალსაზრისით. გერმანიამ ზავის ჩამოსაგდებად გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც შეუძლია დიდ და თავმოყვარე სახელმწიფოს. თუ უადამიანო ჟლეტა გაგრძელდა, ეს მოწინააღმდეგეების სინიდისმა უნდა ზღოს.

გერონტი ქიქოძე.

## შედეგები ბულგარეთის გადადგომისა

ჯერ დანამდვილებით არ ვიცით რა მოხდა ბულგარეთში. მრავალი ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობა მოვი-

და. მოსკოვი ჭორს ავრცელებს, ვითომ სოფიაში კიდეც შესდგა სალდათების საბჭო, ხოლო ბულგარეთი უკვე გადაუდგა გუშინდელ მოკავშირეებს და მიეკედლა ინგლის-საფრანგეთს. უფრო ჭკუაზე ახლოა მეორე ცნობა: დამარცხებას მოჰყვა შინაური ალრევა. ამით ისარგებლა მთავრობამ და პარლამენტისა და მეფის დაუკითხავად დროებით მორიგება მოსთხოვა მოპირდაპირეს. ასეა თუ ისე, მოკავშირეთა ერთი რგოლი გაიბზარა და ლამის შუაზე გასწყდეს ბერლინიდან ბაღდადამდის გაბმული რკინის ჯაჭვი.

სტრატეგიული და პოლიტიკური შედეგი ამ ამბავისა, თუ იგი გამართლდა, განუზომელია. ბერლინში სწორედ დაუფასებიათ მნიშვნელობა ამ ხიფათისა. იქაური საზოგადოება და პრესსა მეტად შეშფოთებულა, ხოლო გერმანიის მთავარ შტაბს ფიცხლად გაუგზავნია ყოველ მხრიდან ბულგარეთში გერმანელთა და ჰუნგრელთა ჯარები, რომელთაც უნდა აღადგინონ გარღვეული ფრონტი და გაამთელონ გატეხილი რგოლი.

მაგრამ წარმოვიდგინოთ რომ გერმანელების ჩასვლამდის მოპირდაპირე შემოიჭრა ბულგარეთში და ბერლინ-სტამბოლის ხაზი გადასჭრა. ყოველ მხრიდან ისმის თითქო ამ გზის გადაჭრა ნიშნავდეს ოსმალეთის ჩამოჭრას და იზოლიაციას. ეს ჩვენის აზრით, სავსებით მართალი არ არის. ამას მოჰყვება მხოლოდ საკომუნიკაციო გზების შეცვლა. ნაცვლად ბერლინ-სოფია-სტამბოლისა გაიბმება ახალი გზები ბერლინიდან გალაცაზე, ოდესაზე ან სევასტოპოლზე შავი ზღვით. ხიფათი გზის გადაჭრით კი არ იწყება, არამედ იმით რომ ბულგარეთში შემოჭრილი ფრანგ-ინგლისელი ჯარები მარჯვნივ მოუხვევენ და განთქმულ ჩატალჯის გზით მიადგებიან სტამბოლს და ორი მხრით ერთხელ კიდევ სცდიან დარდანელით შავ ზღვაში შემოსვლას. ამ დროს ადვილად შეიძლება ოსმალეთსაც უღალატოს გულმა, ვერ გასძლოს მისმა ნერვებმა და ნებაყოფლობით ან მახვილით გაიხსნას დარდანელი. მაშინ გადაიშლება ისტორიის ახალი ფურცელი და ეს ამბავი მეხივით იფეთქებს შავს ზღვასა დ მის მიდამოებში. ძველი დ ახალი სახელმწიფოები, შავი ზღვის ირგვლივ რომ გადაშლილან, ერთ დღეში გადაბრუნდებიან და გამოიცვლიან თავიანთ ორიენტაციას. შესაძლებელია ამ ამბავს მიეცეს საბედისწერო და გადამწყვეტი მნიშვნელობა. ოთხთა კავშირის ფრონტი გადაჯგუფდება, შეიწევს და შეკავშირდება, იგი კვლავ განახლდება და დაუბრუნდება შარშანდელ მოხაზულობას. მაშინ ბაღდადის ფრონტი მდინარე დუნაიზე გადავა და კავკასიის ბედიც ლონდონსა და პარიზში გადასწყდება თქმა არ უნდა რომ შავ ზღვაში შემოსული ინგლისის დრედნოუტები მაგნიტივით მიიზიდავენ მრავალს ხალხსა და სახელმწიფოს. შესაძლებელია დანგრეული რუსეთი რამდენიმე თვეში გამთელდეს, მაგრამ კავკასია მას ალბად აღარ დაუბრუნდება.

რამდენიმე თვეა რაც ერთი დასაჯერებელი ხმა დადის. ინგლისი ოქროთი და მახვილით აწვება ოსმალეთს, ცდილობს მის ჩამოშორებას და კავკასიას ჰპირდებაო. პოლიტიკურ მოაზროვნე ქართველს ეძნელება ამის დაჯერება, რადგან მას ეს არ უნდა მაგრამ შეუძლებელი აქ არაფერია. ღალატში ინგლისი ვერ მისცემს ოსმალეთს ვერც ეგვიპტეს, ვერც მესოპოტამიას. იგი უფრო ადვილად გაიმეტებს სხვისას და შეიძლება გასწიროს სომხებიც და ქართველებიც, რადგან სამაგიეროდ დაუფასებელსა და განუზომელ სამკალს მოიმკის. ეს ხიფათი ცხადია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას რომ ბოლგარეთის გადადგომისა, დამასკოს და სენკანტენის აღების შემდეგ წინანდებურად მოსალოდნელი აღარ არის: შეთანხმების სახელმწიფოების პოზიცია გამაგრდა და ოსმალეთს დღეს იმდენს არ დაუთმობენ, რასაც გუშინ დაუთმობდენ.

სავალალო და სატირალი ის არის, რომ ამ საბედისწერო დროს ჩვენ პოლიტიკურად უძლურნი ვართ და იმ ხიფათსაც კი არ ვხედავთ, რომელმაც შეიძლება სულ გაგვანადგუროს.

**მ ადამაშვილი.**

# პროფესორ ცუგმაიერთან

გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა პროფ. ცუგმაიერს, გერმანიაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ. პროფესორმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი გადასცა.

**ცვლილებანი გერმანიის მთავრობაში**

ის ცვლილებანი, რომელნიც ამ ჟამად გერმანიის მთავრობაში მოხდა, ფრიად დიდი მნიშვნელობისაა.

სრული სიმშვიდე და სისწრაფე, რომლითაც კაბინეტის შეცვლა მოხდა, მაჩვენებელია იმისა, რომ იგი მოულოდნელი არ იყო და წინ დიდიხნის სამზადისი უძღოდა.

**ახალი კაბინეტის შემადგენლობა**

თუ როგორ არის განაწილებული პორთფელები ახალ კაბინეტში, ჯერჯერობით არ ვიცით. უტყუარი ცნობებია მხოლოდ შემდეგ პირების შესახებ: მაქს ბადენელი რეიხს-კანცლერი, საშინაო საქმეთა მართველი, საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი არის ყოფილი საკოლონიო საქმეთა სტატს-სეკრეტარი ზოლფერი.

შეიდემანი და მასთან ერთად გრიუმერი (ცენტრი) მიწვეულნი არიან სტატს-სეკრეტარებათ უპორთფელოთ. ამასთან ერთად არსდება ახალი სტატს-სეკრეტარიატი საპარლამენტო საქმეებისათვის.

**ახალი მთავრობა და ზავის საკითხი.**

ავსტრო-ჰუნგრეთის საზავო წინადადებამ გერმანიაში დიდი თანაგრძნობა ჰპოვა.

ყოფილ რეიხს-კანცლერ ჰერტლინგს არ შეეძლო ოფიციალურად გადაედგა ის ნაბიჯები, რომელიც მისმა ახალმა მოადგილემ მოახერხა, რადგან წინეთ ზავისთვის გაწვდილმა ხელმა თანაგრძნობა ვერ ჰპოვა შეთანხმების სახელმწიფოებში. ახალმა მთავრობამ, რომელსაც გერმანიის ხალხის უმრავლესობა მიჰყვება, თავის ვალად ჩასთვალა განეცხადებია, რომ იგი მზად არის ზავისთვის.

5 ოქტომბერს ახალმა რეიხს-კანცლერმა უკვე საზავო ნოტით მიჰმართა უუდრო ვილსონს და წინადადება მისცა სამშვიდობო მოლაპარაკების გასამართავად. ავსტრო-ჰუნგრეთმა და ოსმალეთმაც დაუყოვნებლივ ესეთივე ნაბიჯები გადასდგეს. ჯერ-ჯერობით ვილსონისაგან პასუხი არ მოსულა.

თუ გერმანიის წინადადება ამ შემთხვევაშიაც უარყოფილ იქნა, ყველასათვის ნათელი იქნება, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ განცხადებული სურვილი, ზავის და მშვიდობიანობის დამყარებისათვის არა-გულწრფელი არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ გერმანიის წინადადება მიღებული იქნება და ჩვენ მიერ გაწვდილი ხელი ჰაერში არ დარჩება.

გერმანიის ახალი მთავრობა, მე ვფიქრობ, უფრო ადვილად დაადგება დათმობის გზას, ვიდრე ძველი მთავრობა.

სარწმუნო ცნობები კი საზავო პირობათა შესახებ ჩვენს დელეგაციას ჯერ არ მოსვლია.

**საყოველთაო საარჩევნო კანონი.**

პრუსიაში უკვე მიღებულ იქმნა საყოველთაო საარჩევნო კანონი და ამით ასრულებულ იქმნა მუშათა კლასის დიდი ხნის სურვილი და ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს კანონი კლასთა შორის სოლიდარობას ძლიერ განამტკიცებს.

საერთოდ ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ არეულობას არსად არ ჰქონია ადგილი და უაღრესად მნიშვნელოვანი ამბები, სრული სიმშვიდით მოხდა.

ამ სიმშვიდეს ამოწმებს ის გარემოებაც, რომ რეიხსტაგის სხდომაზედ, სადაც ეს საკითხები წყდებოდა. მათს განხილვაში მონაწილეობას იღებდენ როგორც ახალი, ისე ძველი რეიხს-კანცლერი.

**მდგომარეობა ბულგარეთში**

ბულგარეთის მდგომარეობა ჯერ ჯერობით სავსებით გამორკვეული არ არის. არავითარი ცნობები არა გვაქვს იმ საშინელ ომის შესახებ, რომელზედაც გაზეთები აწერენ. დროებითი ზავი ჩამოგდებულია, მაგრამ საზავო პირობანი ჯერ ჯერობით ჩვენ მისიას არ მიუღია.

მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ ბულგარეთმა საზავო მოლაპარაკებანი ისევ განაახლოს.

**მეფე ფერდინანდი ტახტიდან გადადგა**

ჩვენმა მისიამ შიფრიანი რადიო ცნობა მიიღო, რომ მეფე ფერდინანდი ტახტიდან გადადგა.

**ბულგარეთის ახალი მეფე**

ბულგარეთის ახალ ტახტზედ დასმულ იქმნა ყოფილი მეფის უფროსი შვილი ბორისი, რომელიც 4 ოქტომბერს უკვე დაგვირგვინებულ იქმნა.

გვირგვინოსნობა გერმანიისა და ავსტრიის ელჩთა თანადასწრებით მოხდა, რაიც იმის დამამტკიცებელია, რომ ახალი მეფე ამ სახელმწიფოსთან კავშირს არ არღვევს. ჩვენ ვიცით რომ ახალი მეფე გერმანიის ორიენტაციის არის. სწავლა განათლება მიიღო გერმანიაში და კარგს განწყობილებაშია, გერმანიის მაღალ წრეებთან.

**ხმები საერთაშორისო ზავის შესახებ.**

თბილისში ხმები გავრცელდა, თითქოს მებრძოლ სახელმწიფოთა შორის, დროებითი ზავი ჩამოვარდა. ამის შესახებ ჩვენს მისიას ოფიციალური ცნობა არ აქვს. ვფიქრობთ კი, რომ ზავი მოახლოვებულია. წუხელის ღამის სამ საათზე მიღებული რადიო-ცნობებით, საომრო მოქმედებანი, სენ-კანტენის ჩრდილოეთით კიდევ სწარმოებდენ.

**უკრაინაში.**

ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, თითქოს გერმანიას უკრაინიდან ჯარები გაეყვანოს.

ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება. პირიქით, მოკლე ხანში უკრაინაში დიდძალი ავსტრო-გერმანული ჯარები იქმნენ გაგზავნილნი.

**ნავთი.**

ბაქოდან ნავთს ამ დღეებში უნდა მოველოდეთ. უკვე გამზადებულია პირველი მატარებელი და რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ 4 მატარებელი იქნება მზად.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **რკინის გზათა უფროსის განკარგულება.** საქართველოს რკინის გზათა უფროსმა ნ. კანდელაკმა შემდეგი ბრძანება გამოსცა:

თანახმად საქართველოს რკინის გზების მოსამსახურეთა პირველ სადელეგატო ყრილობის დადგენილებისა და გზათა მიმოსვლის მინისტრის დადგენილებისა ადგილობრივ კომიტეტებში თანამდებობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ თავმჯდომარენი და მდივნები. წინადადებას ვაძლევ კომიტეტის იმ წევრებს, რომელნიც თანამდებობას არ ასრულებენ დაუბრუნდენ სამსახურს წარმოდგენილ უნდა იქნეს სია მათი, ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს.

◆ **შრომის მინისტრმა** ცირკულიარული განმარტება დაუგზავნა თბილისის და ქუთაისის გუბერნიების და სოხუმის ოლქის შრომის კომისრებს, რომ ამა წლის მარიამობისთვის 2 კანონის ძალით საქარხნებო დაწესებულებების პირდაპირი თვალყურის დევნა დაკისრებული აქვს შრომის კომისრებს, რომელნიც მოვალენი არიან თავის მოვალეობის ასრულების დროს იხელმძღვანელონ სამრეწველო შრომის წესდების შესაფერ მუხლებით და საქარხნო ინსპექციის ნაკაზით და აგრეთვე შრომის კომისრების შესახებ დებულებებით.

◆ **უნივერსიტეტისა და თეატრის** სასარგებლოდ ხუთმილიონიან მომგებიანი ქართული ლატარიის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზ. „საქართველო“-ში № 188 (სამშაბათი 6 ღვინობისთვე) განცხადებას ლატარიის ბილეთების დაკარგვის შესახებ ქართულ ხუთმილიონიან ლატარიასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს განცხადება შეეხება ქვიშხეთში მდებარე ადგილის ლატარიას. ქართულ ლატარიის არც ერთი ბილეთი არ დაჰკარგვია, მაშასადამე არც ერთი მისი ბილეთი გაბათილებული არ არის. ამასთანავე გამგეობა ყველასა სთხოვს, შემდეგში თავიანთ განცხადებაში აღნიშნონ ხოლმე უფრო დაწვრილებით ლატარიის სახელი და მიზანი.

◆ **ფინანსთა სამინისტროს მდივანი.** ფინანსთა სამინისტროს მდივნად, სიმონ ქვარიანის ნაცვლად, რომელიც სოხუმის საბაჟოს გამგედ იქმნა გადაყვანილი, დაინიშნა ლევან ალექსანდრეს ძე წერეთელი.

◆ **„საღამოს დეპეშების“ რედაქტორის დატუსაღება.** საგანგებო რაზმმა შეიპყრო „საღამოს საგანგებო დეპეშების და ცნობების“ რედაქტორი არტაშეს ღამოიანცი, რომელიც ყალბ ცნობებს ჰბეჭდავდა გერმანელ სიმაგრეების აღების შესახებ. ღამოიანცი ციხეში გაგზავნეს.

# პარტიული ცხოვრება

**დღეს, საღამოს 8 ს. მთავარი კომიტეტის ბინაზე დანიშნულია „საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის და უახლოესი თანამშრომლების კრება. დასწრება სავალდებულოა. უწყებები არ დარიგდება.**

◆ **ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტი.** დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია პირველი კრება კონფერენციის მიერ არჩეულ ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტისა. კომიტეტში არჩეული არიან: გ. კლიმიაშვილი, ვ. ზაალიშვილი, ლ. კიკაბიძე, ნ. კეცხოველი, მ. ხერხეულიძე, გ. მერკვილაძე და ა. ალექსიძე. ამხანაგებსა ვსთხოვთ უსათუოდ დაესწრონ.

# ნავთი კახეთში

თელავიდან მოსული ცნობით ილდაკანში დღეში 3,000 ფუთი ნავთი ამოდის. ილდაკანში დაგროვილია 20 ათასი ფუთი ნავთი, რომელსაც მოკლე ხანში გამოჰზიდავენ და საქართველოს ქალაქებს გაუნაწილებენ.

# ყუბანის პური საქართველოსთვის

ყუბანიდან მოსული ცნობით ყუბანის მთავრობამ ნოვოროსიისკიდან არ გამოუშვა საქართველოსთვის ხორბლით დატვირთული ორთქმავლები. ხორბალი ვაგონებიდან ისევ გადმოზიდეს. ელევატორებში დიდძალი ხორბალი დაგროვებულა.

# სომხეთის მთავრობის კრიზისი

ერევნიდან მოსული ცნობით, სენიორენ-კონვენტის უკანასკნელ სხდომაზე მინისტრ-თავმჯდომარე კ. კაჩაზნუნმა განაცხადა, რომ ასეთ მდგომარეობაში, რანაირშიაც არის მთავრობა, მოქმედება აღარ ძალუძს და წინადადება მისცა კოალიციური სამინისტრო შეადგინოს. ეს წინადადება მიიღეს: დაშნაკელებმა, სოც.-დემოკრატებმა და სახალხო პარტიამ, სოციალ-რევოლუციონერებმა კაბინეტში შესვლაზე უარი განაცხადეს.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

## ომი

**8 ღვინობისთვის ცნობა**

**აინის ლაშქარი.** სენ-კონტენის ჩრდილოეთით ენკენისთვის ნახევრიდან ს ასტიკი ბრძოლებია. მტერმა საწადელს მაინც ვერ მიაღწია. კატელეს ჩრდილოეთით და ლეოჟეს ორივე მხარეს მტრის იერიშებმა შედეგს ვერ მიაღწია. სომის არხზე მტერმა იშოვნა მცირე ადგილი ესინის ოლქში, შემდეგ რეუკურამდე უკან დაიწიეთ.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** მოპირდაპირემ მდ. ენისა და სიუიპეს ახალ ხაზებზე იერიშები განაცხოველა. პენტ-ა-ვეროდან მტერმა კიდევ იერიშები მოიტანა. სიუიპის ორივე მხარეზე მცირე რაზმები რჩებიან ადგილზე. არანზედ და სენ-ეტენის დასავლეთით მტერი ცხარე იერიშებით წამოვიდა.

# სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

მას შემდეგ, რაც ქართველი ერი დამოუკიდებელი შეიქნა, მისი პოლიტიკაც უფრო გართულდა და უფრო საპასუხისმგებლო გახდა. სისულელე იქნებოდა ქართველმა ერმა აწარმოვოს კოსმოპოლიტური ინტერნაციონალიზმი, უარჰყოს სრულიად თავისი ვინაობის, თავისი ინტერესების დაცვა. აგრეთვე მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა არ ვსცნოთ კანონიერი უფლებანი მეზობელთა და ამით შევაფერხოთ წესიერი ურთიერთობა ჩვენსა და მათ შორის. ჩვენ ვიცით, დღევანდელ წუთში განსაკუთრებით ერთა ურთიერთობაში უპირველესი საფუძველი არის ინტერესი და არა განყენებული ბუნდოვანი აზრები, გინდ გადაჭარბებული გძნობიერება. ჩვენი ინტერესის შეგნება, ღრმად მისი გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს ვაწარმოვოთ სალი პოლიტიკა, რომელიც შემდეგში კეთილ ნაყოფს მოგვიტანს.

სომხები დიდი ხანია ჩვენს მეზობლად ცხოვრობდენ. ხოლო ვისაც ცოტა ჩვენი ისტორია შეუსწავლია, ის შენიშნავდა, რომ საზღვარი სომეხთა და ქართველთა მოსახლეობათა შორის მუდმივი არ ყოფილა. პირიქით ეს საზღვარი ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ იწევდა და ამგვარად სომხები ქართველ ერის ტერიტორიაზე გადმოდიოდნენ. იმავე დროს ისინი შიგ ქართველ ხალხის მჭიდრო მოსახლეობაშიაც ეთესლებოდნენ ნელ-ნელა და ეს პროცესი დღემდისაც არ შეჩერებულა. ამ მოვლენას ბევრი მიზეზი აქვს. მაგრამ უმთავრესი არის შემდეგი: პირველი—ხალხთა ბრძოლა ერთმანეთში. უკვე ისტორიის წინასწარ დროს ჩვენ ვამჩნევთ, რომ სამხრეთიდან, ბაბილონის მხრიდან მოდიან ურდოები ჩრდილოეთისკენ, ამარცხებენ ჩრდილოეთის მცხოვრებთ, რომელთა შორის ნაწილი წყდება, ნაწილი ტყვედ რჩება, ხოლო ნაწილი უკან იხევს და ამით თავს შველის. ამ პროცესში ქართველმა ერმა დიდძალი ტერიტორია დაჰკარგა, რომელიც უმთავრესად სომხებმა დაისაკუთრეს. მას შემდეგ, რაც სომხეთი ოსმალების ხელში ჩავარდა, სომხის ხალხი ვერ გრძნობდა თავის სიცოცხლეს უზრუნველყოფილად და ამიტომ ადვილად სტოვებდა თავის მიწა-წყალს და განსაკუთრებით მიემართებოდა საქართველოსკენ. ამ მოძრაობას მეტად ხელს უწყობდა რუსის მთავრობა, რომლის დახმარებით არა ერთი ათასი სომეხი საქართველოში შემოვიდა. მეორე მიზეზი უნდა ვეძიოთ სომეხთა რასიულ თვისებაში. სომეხთა ერი ეკუთვნის იმ ორიოდე ერთა რიცხვს, რომელთა შორის ვაჭრული ინსტიქტი ნაჭარბევათ განვითარებულია. და ამ ინსტიქტის დასაკმაყოფილებლად სომეხი ადვილად სტოვებს თავის სამშობლო კერას და ქვეყნის ყოველ კუთხეს მიემართება. მართლაც, თქვენ ვერ ჰპოებთ ვერსად ისეთ ადგილს, სადაც სომეხი ვაჭარი არ იყოს. აი სწორედ ამზრის ძებნამ არა ერთი სომეხი გადმოისროლა ჩვენსკენ. ამ გადმოსახლებაში მათ საოცრად ხელს უწყობდა ჩვენი სოციალური აგებულობა. უმწვერვალესად ფეოდალური საქართველო უფრო სამხედრო ბანაკს ემზგავსებოდა. ხოლო ცნობილია, გაზვიადებული სამხედრო ხელოვნება განსაკუთრებული ზიზღით უყურებდა ვაჭრობას, როგორც მდაბალ ხარისხის ხელობას. და ეს გარემოება მეტად ხელსაყრელი იყო სომეხთა დენისათვის ჩვენსკენ.

განსაკუთრებით გააძლიერა რუსთა გაბატონებამ საქართველოში. ქართველი ერი ეკუთვნის იმ ერთა ჯგუფს, რომელნიც შედარებით ინდივიდუალურად სუსტნი არიან, ხოლო საზოგადოებრივად უფრო ძლიერი. ხოლო რადგან რუსის შემოსვლამ ჩვენში გააჩანაგა ყოველივე, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ამიტომ უმწეოდ დარჩენილი ქართველი მეტად სუსტი გამოდგა თავის კანონიერ უფლებათა დაცვაში, რითაც ხარბად ისარგებლეს სომხებმა. ამ აზრს საოცარი ჩარჩული ცინიზმით გამოსთქვამს ვინმე იშხანიანი თავის წიგნში: „სომეხ-ქართველთა ეკონომიურ და საზოგადოებრივ წინაამდეგობათა საფუძვლები“, როცა სომეხთ უწინასწარმეტყველებს უსაზღვრო წინსვლას, ხოლო ქართველთ აუცილებლივ გაზოგანებას და ამბობს: „სიმდიდრე ბუნებრივ ეკონომიურ მეტოქეობის წყალობით თავს იყრის ძლიერთა ხელში“ და მერე დასძენს ქართველთა შესახებ: „არამც თუ ეცემა ზემო ფენა, არამედ ქვემოსაც ამაღლება არ შეუძლიაო“. ბ. იშხანიანს, რომელიც კვეხულობს თავის „მეცნიერებით“ და ბუნებისმეტყველურ „ობიექტივობით“ სრულიად დაავიწყდა რომ თანამედროვე საზოგადოებაში დღითი დღე ძლიერდება შეკავშირების ძალა, სუსტნი განკერძოებულად, ძლიერნი ხდებიან შეერთებულნი. დამონებული საქართველო იყო უმწეო მსხვერპლი ყოველივე გამვლელ-გამომვლელისათვის. საქართველო თავისუფალი შესძლებს სრულიად დაიცვას თავისი პიროვნება.

ამგვარად რთულ ისტორიულ პროცესში სომეხ-ქართველთა ინტერესები ერთმანეთს შეხვდენ და ხშირად მათ შორის ღრმა წინააღმდეგობა არსებობდა.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, დღეიდან შეიძლება სრულიად შეიცვალოს გარემოება. რასაკვირველია, ეს არ არის ერთი დღის საქმე, მაგრამ თუ ორივე მხარე ვაწარმოებთ წმინდა ეროვნულ პოლიტიკას, ადვილად ერთმანეთს დაუახლოვდებით, ადვილად შევთანხმდებით.

მართალია, ეს შეთანხმება არაა სავსებით მარტო ჩვენ ორზე დამოკიდებული, ბევრი გარეშე შეიძლება ჩვენს ნებაზე და ძალაზე გაცილებით ლონიერი გამოდგეს და ჩვენი მისწრაფებანიც ფუჭად დარჩეს.

დღეს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხი შეიცავს ორ მხარეს: 1) დამოკიდებულება ორი სახელმწიფოთა შორის, საქართველოსა და სომხეთისა, 2) სომეხთა საკითხი საქართველოში. ორივე ეს მხარე მეტად რთული ხასიათისაა და ჩვენი მიზანი აქ იქნება არა დაწვრილებითი მათი განხილვა, არამედ მხოლოდ უმთავრეს ძირითად დებულებათა აღნუსხვა.

საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, ბ. ჩხენკელი თავის ტელეგრამაში, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოხდა შეთანხმება რუსეთსა და გერმანიას შორის, რომლითაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებულ იქმნაო, ამბობდა, ყოველი ჩემი ცდა, რომ მეზობელი რესპუბლიკებიც ეცნოთ, უნაყოფოდ დარჩაო. მე ვფიქრობ, ჩვენი მინისტრის მისწრაფებას უნდა იზიარებდეს მთელი ქართველი ერი და რამდენადაც ეს ჩვენს ნებაზე იქნება დამოკიდებული, ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რათა სომხეთს ხელი შევუწყოთ, თავისი სახელმწიფო დაამკვიდროს და გამაგრდეს, ბევრ მხრივ ქართველებისათვის სომხეთის სახელმწიფოს განმტკიცებას მეტად კეთილი შედეგი მოჰყვება.

სომეხი თავის სახლში უშიშრად მცხოვრები, უნდა ვიფიქროთ, აღარ მოისურვებს სხვა ქვეყნებს შეესიოს და ამგვარად შეჩერდება მათი არა ბუნებრივი დენა ჩვენსკენ. თუ დღემდის საუკეთესო ძალები სომეხთა სამშობლოს სტოვებდენ, დღეიდან ისინი მოისურვებენ თავიანთი საქმიანობა სამშობლოს სარბიელზე გამოიჩინონ და ამით ჩვენ მეზობლად აყვავდება კულტურული ცხოვრება, რაც მეტად ხელსაყრელი იქნება თვით ქართველებისათვის ეკონომიურადაც. განსაკუთრებით საყურადღებოა საერთო მეზობლური განწყობილება. შესაძლებელია, ძალიან ხშირად სომეხთ და ქართველთ შეთანხმებულად დასჭირდეთ აწარმოვონ თავდაცვითი პოლიტიკა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სომეხთა საკითხი რომ გადაუწყვეტი დარჩეს, აშკარაა სომხები მუდამ მოუსვენრად იქნებიან, რაც მუდმივ საშიშროებას წარმოადგენს საქართველოსათვის.

სომეხთა საკითხი დიდი ხანია საერთაშორისო პოლიტიკის საგნად გადაიქცა, განსაკუთრებით ბერლინის ტრაქტატის შემდეგ. ამ ტრაქტატის მე-61 მუხლში ვკითხულობთ: „ბრწყინვალე პორტა კისრულობს დაუყოვნებლივ განახორციელოს გაუმჯობესებანი და რეფორმები, რომელთაც მოითხოვს ადგილობრივი საჭიროებანი სომხებით დასახლებულ პროვინციებში და უზრუნველჰყოს მათი უშიშროება ჩერქეზებსა და ქურთებისაგან. ის აცნობებს დროგამოშვებით იმ ზომებს, რომელნიც ამ მიზნით მიღებული იქნება ამ საქმის მეთვალყურე სახელმწიფოებს“. ამ მუხლით სომეხთა საკითხი ოსმალეთში მაინც საერთაშორისო ზრუნვის საგნად გადაიქცა. საერთოდ თუ ქართველნი თითქმის სდუმდნენ და თავიანთ ეროვნულ ტკივილებზე არავის შესჩიოდნენ, პირიქით სომხებმა მთელ ევროპაში საოცრად დიდი აგატაცია გასწიეს, მეგობრებიც ბევრი შეიძინეს. ამ მხრითაც ჩვენთვის მეტად სასურველი იქნება მეზობლების დაკმაყოფილება-დამშვიდება.

თუ უმაღლესი ინტერესი ეროვნულ თავდაცვისა გვიკარნახებს სომხეთ ხელი შეუწყოთ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ამავე დროს საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ ის ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც კეთილმეზობლურ განწყობილებას ხელს უშლიან. უმთავრესი ამ დაბრკოლებათაგანი არის პრინციპიული ხასიათისა. არავისათვის დასამალი არ არის, რომ სომხები ამ ომს დიდის იმედებით მიეგებნენ და მათი მთელი ანგარიში დამყარებული იყო რუსეთის და მისი მოკავშირეების გამარჯვებაზე. რუსულ წიგნში, რომელსაც ჰქვია „სომხეთის კრებული“ ვკითხულობთ: „ავტონომიური სომხეთის იდეა დაფუძნებულია ორ მტკიცე მოსაზრებაზე. პირველი, გერმანია და ავსტრია იქნებიან ძლეული და ოსმალეთი, რომელმაც თავისი ბედი შეუკავშირა ამ ორ სახელმწიფოთა ბედს, უნდა გამარჯვებულთა სამოწყალებოდ გახდეს“...

ამ ბოლო წლებში სომხები გახდენ რუსის პოლიტიკის მოწინავე რაზმი, როგორც ჩვენში, ისე ოსმალეთში. თუ სომხებს მართლა გულწრფელად სურთ საკუთარი სახელმწიფოებრივი პიროვნება შექმნან, არ ვფიქრობ რუსების მფარველობა მათთვის მაინცდამაინც ხელსაყრელი იყოს. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც სომხებში იარსებებს განსაკუთრებული მიდრეკილება რუსეთისაკენ, იმდენად საქართველოს და სომხეთა ინტერესები შეურიგებელი იქნება.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენშორის სადავოა, არის საზღვრების საკითხი. მეზობლურ დამოკიდებულებაში ქართველები მეტად დამთმობი ვართ, იმდენად, რომ ხშირად ეს დათმობა სისულელემდე მიდის. განსაკუთრებით დღეს, როცა ქართველთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობის საქმე სოციალ-დემოკრატების ხელშია, ყოველ მეზობელს ჩვენი უზომო მორიდება ათამამებს და ჩვე ნს საზიანოდ მადას უხსნის. ამ მხ

ზამპანებში გუშინ სიწყნარე ჩამოვარდა. სენ-ეტენიეს და ორფეილთან პატარ-პატარა შეტაკებანი მოვიგერიეთ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში მზვერავები მოქმედებენ.

**მაცის ლაშქარი.** არგონებისა და მაასის შუა ამერიკელებმა ძლიერი იერიშები მოიტანეს. ისინი დიდათ დაზარალდნენ.

**პალესტინის ასპარეზი**

**სტამბოლი.** ღვინობის. 7. სამხედრო ცნობა. ბეირუტ-ცაირეხის ხაზზე მტერი არც გუშინ გადმოსულა. სხვა ასპარეზზე ახალი არა მომხდარა-რა.

**ბერლინი.** საღამოს სამხედრო ცნობა. სკარპის ჩრდილოეთით ადგილობრივი ბრძოლებია.

**იტალეთის ასპარეზი**

**ვენა.** ღვინ. 7. მდგომარეობა უცვლელია.

**ბალკანეთის ასპარეზი**

ალბანეთში სკუმბთან ბრძოლაა. ძველი სერბეთის სამხრეთ მოსაზღვრე ოლქებში საომარი მოქმედებანი არა ყოფილა-რა.

**უმაღლესი სამეფო საბჭო ბერლინში**

**გერმანიის პრესსის 6 ღვინობისთვის ცნობა.** 20 ღვინობისთვეს ბერლინში შესდგა უმაღლესი სამეფო საბჭო გერმანიის იმპერატორის თავმჯდომარეობით. საბჭოში მონაწილეობას იღებდენ ყოფილი კანცლერი გრაფი ჰერტლინგი, ფელდმარშალი ფონ-ჰინდენბურგი, პრინცი მაქსი ბადენელი, ვიცე-კანცლერი ფონ-პაიერი, მინისტრთა საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, რამდენიმე სტატს-სეკრეტარები და იმპერატორის სამოქალაქო კაბინეტის უფროსი.

ბადენის საჰერცოგოს ტახტის მემკვიდრე პრინც მაქსის მოლაპარაკება პარტიების ლიდერებთან დამთავრდა. პრინცი თანხმაა იკისროს კანცლერის თანამდებობა. იმპერატორის სამინისტრო შესდგება მხოლოდ უმთავრეს პარტიათა წარმომადგენლებისაგან. პრინცმა მაქსმა წარადგინა პროგრამმა, რომელიც „ფოსიშე ცაიტუნგის" გადმოცემით მხოლოდ რამდენიმე მუხლით აღემატება უმთავრეს პარტიათა მოთხოვნილების მინიმუმს. მოლაპარაკება სრული შეთანხმებით დამთავრდა. პრესსა მოხარულია რეორგანიზაციისა, როგორც შინაგან კრიზისის გარდამწყვეტ საშუალებისა.

„გოდინა პოლსკა" სწერს, რომ პოლონური ჯარები არც ერთს ასპარეზზე არ გაიგზავნება. და თუ ამ ჟამად არიან ავსტრიაში, ეს მომავალ პოლონეთის ლაშქრის სამაგალითოდაო...

**მოსკოვი.** ღვინობისთვის 7. საფრანგეთის ჯარები განაგრძობენ შეტევას. ჰინდენბურგის ხაზს გადავიდნენ. ფლანდრიაში ინგლისელები და ბელგიელები ენერგიულ შეტევას განაგრძობენ. არგონებში გერმანელები იხევენ, ამერიკელები წინ მდიან. სერბიაში ინგლისელები ნიშს მიუახლოვდნენ. ოსმალეთის ასპარეზზე ინგლისელებმა აიღეს დამასკო. სირია ინგლისელთა ხელშია. სტამბოლში პანიკაა. ცნობაა თითქოს ოსმალები დასთანხმდნენ გასწმინდონ კავკასია.

**ვენა.** ღვინ. 5. ფერდინანდმა ტახტი თავის შვილს ბორისს დაუთმო. გერმანულ ახალშენმა სოფია დასტოვა.

**გენ. ლიმან-ფონ-სანდერსი.**

ინგლისის რადიო-დეპეშა ავრცელებს ხმებს, რომ გერმანელი გენერალი ლიმან-ფონ-სანდერსი ნაზარეთიდან გაიქცა და თითქმის დაჭერილიც იყო. ამის გამო გენერალი ლიმანი თვით იუწყება, რომ 2 ენკენისთვეს დილის 5 ს. 35 წ. ინგლისის კავალერიის ბრიგადა შეიჭრა ნაზარეთში, გერმანელ გენერლის და მის შტაბის დასაჭერად. ნაზარეთში იყო მხოლოდ სეკრეტარიატი და სასურსათო ურმების 120 კაცი. მიუხედავად ამისა, ბრძოლა გაგრძელდა ხუთი საათი. მხოლოდ ბრძოლის შემდეგ, როცა ყველაფერი იყო წესრიგზე, ლიმანმა ნაზარეთი დასტოვა.

**ტრანს-ოკეანეს ბიუროს ცნობა**

ღვინობისთვის 6. პრესა ესალმება ახალ კანცლერს, როგორც მთავრობის მეთაურს „დორკდეიშტე-ალგემინეცაიტუნგი" სწერს: ახლა უნდა მივმართოთ ხალხის ფიზიკურ და გონებრივ ძალებს, უნდა დაიჭიმოს ნერვები ერის ნებისყოფისა, დღეს ხალხმა თავისი იღბალი თვითონ დაიჭირა. ახლა გერმანულ კანცლერს ბადენის პრინცს მაქსს ხალხი დიდის ნდობით ექცევა. დღეს გერმანეთს მესვეურობს მთავრობა, რომელიც ლაპარაკობს გერმანეთის ხალხის პირით.

ფინ-ვინტცე გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი გადადგა. მის ადგილას მოწვეულია ახალშენების მინისტრი ექ. სოლფი.

# თბილისის საბჭოში

ქალაქის საბჭოს 7 ოქტომბრის სხდომა ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვლება, როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე მორალურად.

პოლიტიკური მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სხდომაზე გამოაშკარავდა და დაიგმო იმავე საბჭოს 30 სექტემბრის დადგენილების უკანონობა და შეუსაბამობა, ხოლო რელიეფურად გადმოიშალა ზნეობრივი უსახსრობა იმ ადამიანებისა, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო პოლიტიკას ცხადათ აწარმოებენ საქართველოს დედა-ქალაქის თვითმართველობაში. ოთხმაგიანი ფორმულით „არჩეული საქალაქო მმართველობა, რომელსაც პირველ ყოვლისა დაეკისრა ქალაქის უკიდურესობამდე დაქვეითებულ მეურნეობის გამოსწორება და საზოგადოთ შექმნა ყოველმხრივი წესიერებისა, ჩაეფლო პოლიტიკანობაში და უაღრესად საქმიანი დაწესებულება გარდააქცია უსაქმო ხალხის სალაყბოდ. სრულიად სამართლიანი იყო ხმოსანი პართენ გოთუას საყვედური, მიმართული განსაზღვრული ადგილებისაკენ, რომ ხმოსნები სრულიად გულცივად ეკიდებიან ქალაქის საჭირ-ბოროტო საკითხებს, და დაიარებიან სხდომებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკურ სადღეღლის ამშლელი საკითხები ირჩევა. ეს შენიშვნა თანასწორად მიმართული იყო იმათკენ, ვინც ყოველთვის ცხადათ თუ ფარულად ებრძვის საქართველოს რესპუბლიკას და იმათკენაც, ვინც „ეხლა" აღგვითქვამს ლოიალობასა და მორჩილებას.

როგორც მკითხველებმა უწყიან, 30 სექტემბრის სხდომაზე ქალაქის საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით საქალაქო მილიციას ეკრძალება რაიმე დახმარება აღმოუჩინოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმს.

ეს საკითხი საბჭომ „შეაპარა" იმ სხდომაზე, რადგანაც სოციალდემოკრატების სკამებზე სულ რამდენიმე ხმოსანი იჯდა და შეთანხმებულ ანსაბლს არავინ დაარღვევდა.

თვით დადგენილებაზე ორი აზრი შეუძლებელია ვიქონიოთ: იგი არამც თუ უკანონოა, არამედ მიმართულია ჩვენი რესპუბლიკის უზრუნველობის წინააღმდეგ. „საქალაქო დებულება", რომლის ფარგლებში მოქმედებს თბილისის თვითმმართველობაც, ეჭვის დაუდებლად ამბობს, რომ თვითმმართველობა განაგებს მილიციას მომქმედ კანონების მიხედვით; კანონმდებლობა კი ადმინისტრაციის მთავარ-გამგებლობას ანიჭებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომლის ბრძანებას მილიცია უსიტყვოდ ასრულებს—ყოველს შემთხვევაში. მაგრამ უკანონობის გარდა, ქალაქის საბჭოს დადგენილებაში უსათუოდ არის მოღალატეობისა და „ბუნტის" ელემენტი: რესპუბლიკა დღიდან დაარსებისა შინ და გარედ საფრთხეშია, რასაც ხელს უწყობს გამძვინვარებული თავაღებული სპეკულიაცია. დემოკრატიული მთავრობა ერთს წუთსაც ვერ მოითმენს, რომ ხალხის უმრავლესობის გაჭირვებაზე და უბედურებაზე მანთაშევის საწყობების „ხაზეინებმა" თვისი კეთილდღეობა ააგონ. საქართველოს მთავრობის ზრუნვას შეადგენს გაღატაკებულ მცხოვრებთათვის ნორმალურ პირობების მოწყობა, რომ მოქალაქეთა გაძვალტყავებულ ყოფა-ცხოვრებით, ჩვენი თავისუფლების მოძულეთ არ ისარგებლონ ბინძურ ზრახვათა განსახორციელებლად.

„საგანგებო რაზმის" დაარსება, რასაკვირველია, არ არის პანაცეია სპეკულიაციასა და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. სპეკულიანტების ელასტიურ თვისებას, შესაძლებელია, ბრძოლის სხვაგვარი მეთოდი დასჭირდეს, მაგრამ „საგანგებო რაზმი"-ს არსებობა დაკანონებულია საქართველოს პარლამენტის მიერ. ეს არის კანონი და მას უნდა ემორჩილებოდეს ყველა მოქალაქე განურჩევლად, თუნდაც ის ხმოსნის სახელს ატარებდეს. ქალაქის საბჭოს ცნობილ დადგენილებაში არის პირდაპირი მოწოდება დაკანონებულ ინსტიტუტის საწინააღმდეგო და ამას ყველა ჰგრძნობდა, იქნებ, ქარაფშუტა ხუდადოვის გარდა.

ქალაქის საბჭოს დადგენილებამ შეჰქმნა შეუწყნარებელი კოლლიზია მმართველ ორგანოთა შორის! გამოსავალი ერთი იყო: ან დადგენილება „ბუნტარებს" უკანვე უნდა წაედოთ, ან საწინააღმდეგო ფაქტს უნდა მოჰყოლოდა თვითმართველობის დათხოვნა.

უკანასკნელი გამოსავალი ერთგვარი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა... მაგრამ მენშევიკების ფრაქციას გამარჯვების სურვილმა სძლია და ესერდაშნაკცუტიუნ-კადეტურ ბლოკს სასტიკი დამარცხება მიაყენა.

—

დარბაზი სხდომის დაწყების დიდი ხნის წინ გაჭედილია ხალხით, უფრო ქართველებითა და სომხებით. ხმოსანთა ადგილები თანდათან ივსება, განსაკუთრებით სოციალდემოკრატიის სექტორი. ყურადღებას იპყრობენ ხმოსნები—საქართველოს მთავრობის მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი.

სხდომა თავიდანვე ბრძოლის ხასიათს იღებს, რადგანაც დღის წეს-რიგში პირველ საკითხად დასმულია ქალაქის გამგეობის გადადგომის ცნობა და წინადადება 30 სექტემბრის დადგენილების გადაშინჯვისა. მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარემ ქალაქის გამგეობის საკითხი გამოჰყო ცალკე, ყველამ იცოდა, რომ კამათში იგი გადაებმებოდა „რაზმის" საკითხთან, როგორც მასთან შინაგანრივად დაკავშირებული და ასეც მოხდა: გარდა ორიოდე ორატორისა, ყველა სხვა დაწვრილებით რაზმის მოქმედებას უფრო ეხებოდა. მძლავრი იერიშები განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების წინააღმდეგ სოციალისტ-რევოლუციონერებმა მიიტანეს. კოლიჟუნიმ, თუმანოვმა, ხუდადოვმა მრისხანე ანალიზი გაუკეთეს რაზმის მოქმედებას და ერთხმად დაჰგმეს იგი! თუმანოვი იქამდისაც მივიდა, რომ თვით რაზმში ჰპოვა სპეკულიაციის გამაცხოველებელი მომენტი. რას მიქვიან კანონიო, განაცხადა პატეტიურად ხუდადოვმა, ქალაქის საბჭო ერთადერთი ბატონ-პატრონია თბილისისა და მილიციაც მისი საკუთრებააო! ჩვენთვის სავალდებულო არ არის კანონის ასრულება, თუ-კი იგი უსამართლობას აკანონებსო.

ალბად კარგად გასცნობია პ. გოთუა ესერების ფრაქციას და, შეიძლება, გრძნობდა კიდევაც მათ გამოსვლას, რომ თავის დარბაისელ და შინაარსიან სიტყვაში (სიტყვის სტენოგრამმა ცალკე დაიბეჭდება) უფრო ღრმა მიზეზები აღნიშნა დღევანდელ თვითმართველობის დამღუპველ მოქმედებაში და ერთადერთ გამოსავლად სცნო არსებულ თვითმართველობის დაუყოვნებლივი დაშლა.

მეტისმეტად აღგზნებულად უპასუხა პ. გოთუას დაშნაკცუტუნის წარმომადგენელმა, რაზმისა და გამგეობის ნაცვლად ხმოსნებს მოუყვა სევდიანი მოთხრობა ჰაიკანის ხალხის ტანჯვა-ვაებისა. ერთი პარადოქსალური აზრი გამოსთქვა ბ. იაკდჟიანმა: ჩვენ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის განმტკიცებას ხელს—ვუწყობთო და ამიტომ... დავავალეთ გამგეობას მილიციას აუკრძალოს რაზმის დახმარება.

მისი არგუმენტების სისუსტე ლაზათიანად აღნიშნა ხმოსანმა გრუზენბერგმა, რომლის საქმიანი, იურიდიული შენიშვნები შესამჩნევ უკმაყოფილებას იწვევდა ხმოსანთა განსაზღვრულ ნაწილში.

სოციალდემოკრატებს ერთი უბარი თილისმანი აქვთ: მათი ორატორები მუდამ ბოლოში მოჰყვებიან ხოლმე და სიტყვის გათავების შემდეგ თავმჯდომარესთან შეუმჩნევლად მიდის მცირე ბარათი: კამათი მოისპოს! სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სოციალდემოკრატების ორი წარმომადგენლების ნოე რამიშვილის და რ. არსენიძის—სიტყვა ნამდვილი დასამარება იყო ზემოაღნიშნულ ბლოკისა და შთაბეჭდილებაც ერთი იქნებოდა, თუნდაც მათი გამოსვლა უკანასკნელი არ ყოფილიყო. მხოლოდ რუსული გამოთქმა მათი ცოტათი კოჭლობდა, ნამეტნავად არსენიძესი...

კენჭის ყრის შედეგები წინდაწინვე ცხადი იყო. მაინც აღელვებით ითვლიდენ ხმებს.

როგორც ყოველთვის დიდ „საპარლამენტო" სხდომებზე, აქაც ინციდენტი მოხდა: კადეტების წარმომადგენლებმა პრეტენზია განაცხადეს იმის თაობაზე, რომ მათ რაღაც კიდევ დაჰრჩათ სათქმელი, მაგრამ, რადგანაც საბჭომ კენჭის ყრით ამცნო მათ, რომ ყველაფერი საკმაოდ ითქვა ხუთი საათის განმავლობაში, „დარბაისელი" ხმოსნები გაიბუტნენ და დემონსტრატიულად დასტოვეს დარბაზი.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო სოციალდემოკრატების ძალთა სრული მობილიზაციის გამო: ესსერები ჩასვეს „კალოშში" და საბჭომ 48 ხმით წინააღმდეგ 24-ისა საგანგებო რაზმი აღიარა „სახელმწიფოსათვის საჭირო დაწესებულებად" და დაავალა გამგეობას მას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს...

ასე ისჯებიან ურჩნი!

**ინ.**

# ვილსონის მუხლები

გერმანეთის მთავრობის პირველ გამოსვლის ერთი კვირის შემდეგ (29 გიორგობ. 1916 წ.) ზავის სასარგებლოდ ვილსონმა მიმართა ყველა მეომარ სახელმწიფოთ ნოტით, რომლითაც ის წინადადებას აძლევდა ორივე დაინტერესებულ კოალიციას ურთიერთშორის აზრთა გაზიარებით გაეგოთ, თუ რამდენად შორს სდგას კაცობრიობა ზავის შესაძლებლობიდან. პრეზიდენტი საჭიროდ სთვლიდა, რომ შერჩეულ ყოფილიყო უახლოეს დროშივე მომენტი და მეომარ სახელმწიფოთ საჯაროთ გამოეთქვათ თავისი აზრი იმ პირობათა შესახებ, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა ომის დასრულება. ვილსონი თავის ნოტაში მოკლედ იხსენიებდა იმ მთავარ პირობათ, უკეთ პრინციპებს, რომელთა დადება მოლაპარაკებათა საფუძვლად, მისის აზრით, გაანთავისუფლებდა კაცობრიობას საშინელ სისხლის ღვრისაგან. „ყველა სახელმწიფო თანახმაა, სწერდა ვილსონი, იქონიოს მსჯელობა ერთა ლიგის დაარსების შესახებ მომავალში ზავის და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ამისთვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა ლიკვიდაცია ომისა იმ პირობებით, რომელიც სრულიად უზრუნველჰყოფს დამოუკიდებლობას, ტერიტორიის მთლიანობას, პოლიტიკურსა და ეკონომიურ თავისუფლებას მეომარ ერებისას". პრეზიდენტი ამასთანავე გამოსთქვამდა იმედს, რომ შეთანხმება დიდ სახელმწიფოთა შორის ზავის პირობების შესახებ არც თუ ისე ძნელია, როგორც ამისი შიში არისო.

ბერლინიდან მოსული ცნობით, რომელიც მოსკოვში საბჭოთა ბეჭვდით ბიურომ გამოაქვეყნა, გერმანეთის მთავრობას შეუწყნარებია ვილსონის საზავო წინადადებები. ჯუდრო ვილსონის განცხადებებიდან ცნობილია სამი: განცხადება 1918 წლის იანვრის 8-სა, კონგრესზე თქმული, შეიცავს დაწვრილებით საზავო პროგრამის 14 მუხლს. 12 თებერვლის წერილი, შეიცავს 4 მთავარ მუხლს, მტკიცე ზავის საფუძვლის დადებისათვის და სიტყვა წარმოთქმული მკათათვის 4-ს ვაშინგტონის საფლავზე, რომელიც გამქლავნებულია ის მიზნები, რომელთათვისაც იბრძვიან მოკავშირენი. რადგანაც ოთხ მუხლში ჩამოწერილი პროგრამა გამოთქმულია მეტათ ბუნდოვანად, საჭიროა გამოირკვეს, რომელ წინადადებაზეა ლაპარაკი, ამათზე, თუ 8 იანვრის 14 მუხლებზე. გერმანელ კანცლერმა პრინციპიალურად მხარი დაუჭირა 25 თებერვლის 4 მუხლს ვილსონისას. 8 იანვრის პროგრამის გამო გერმანეთის კანცლერმა 24 იანვარს რაიჰსტაგის მთავარ კომისიაში განაცხადა, რომ ვილსონის სიტყვა (და ლლოიდ-ჯორჯისა—5 იანვ.) შეიცავს მსოფლიო ზავის საზოგადო პრინციპებს, რაზედაც ვაძლევთ ჩვენს თანხმობას. ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ გერმანული მთავრობა მზადაა მიიღოს ეხლა არა მარტო 4 მუხლი, რომელზედაც ისინი დასთანხმდნენ, არამედ 8 ივნისის დეტალური მთელი პროგრამაც.

რასაკვირველია არავითარი სჯა აღარ დასჭირდება, რადგანაც ჯერ კიდევ მკათათვის 6-ს ლლოიდ-ჯორჯმა ამერიკელ ჯარებისადმი მიმართულ სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანეთს ყოველ წუთში ძალუძს ზავი ჩამოაგდოს შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან და ინგლისთან, თუ მან მიიღო პირობები, რომელიც ვილსონმა წამოაყენა ხუთშაბათს (მკათათვის 5-ს).

საზოგადო ფორმულაში ვილსონის საზავო პირობები ასეთია: 1) მოისპოს ყოველივე ძალადობა, რაც აფერხებს ზავს, ხოლო თუ ... მოსპობა ამ ჟამად შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში იგი უნდა შეიზღუდოს, 2) ტერიტორიათა აგრეთვე ეკონომიურ პოლიტიკურის და სუვერენიტეტის საკითხების გადაჭრა თავისუფალ მიღების საფუძველზე ხალხის ინტერესებისათვის და არა სხვა რომელიმე ერის გავლენისა და ანუ მფლობელობისათვის, 3) ერების შეთანხმება ურთიერთობისა და დამოუკიდებლობისათვის, შენახვა დარბაისლობისა, პატივისცემა განათლებულ საზოგადოების ჩვეულებრივ უფლებებისა, რათა ყოველნაირი მოვალეობა და ხელშეკრულობა მტკიცედ იქმნეს დაცული, და მათ წინააღმდეგ არ ჰქონდეს ადგილი ფარულ ზრახვას და შეთქმულებას, 4) შექმნა და ორგანიზაცია ისეთ ზავისა, რომელიც უზრუნველჰყოფს რითაც გაერთიანებული ძალა თავისუფალ ხალხთა გააფრთხილებს ყოველნაირ უფლებათა დარღვევას. შექმნა სამედიატორო სასამართლოსი რომელსაც გადაეცემა ერთა შორის მომხდარი უთანხმოებანი.

— ჩვენ მხედველობაში გვაქვს,— განაცხადა ვილსონმა უფლების დამყარება, რომელიც დაეყრდნობა მმართველთა შეთანხმებას, კაცობრიობის მტკიცე აზრს.

8 იანვრის პრაქტიკული დებულებანი კონსპექტიურად ასეთია: 1) ხმოსნობა ყველა ხელშეკრულობათათვის; 2) ზღვათა თავისუფლება მხოლოდ „საერთაშორისო იძულებით" შემთხვევების გარდა; 3) ეკონომიურ დაბრკოლებათა მოსპობა, რამდენათაც შეიძლება და ვაჭრობის გათანაბრება იმ ხალხთა შორის, რომელთაც აღიარეს ზავი და გაერთიანდნენ; 4) აღარ ჰქონდეს ადგილი დიდ შეიარაღებას, მხოლოდ უზრუნველ იქმნას შინაური საფრთხის აცილება მცირე იარაღით, 5) განისაზღვროს ახალშენები, ერთა თვით გამორკვევა და დაინტერესებულ მთავრობების მოთხოვნილებაა დაკმაყოფილება მოხდეს თანახმად. 6) რუსეთში დაპყრობილ ყველა ოლქების ევაკუაცია, ყველა ეროვნებათა თანამშრომლობა მის დამოუკიდებელ პოლიტიკურ და ეროვნულ ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, საკუთარ კანონებზე და თავისუფალ ერთ ოჯახში ხელი შეეწყოს მის შესვლას; 7) ბელგეთის ევაკუცია და მისი სუვერენიტეტის აღდგენა; 8) ევაკუცია საფრანგეთის ტერიტორიისა, დაპყრობილ ადგილების განთავისუფლება; უსამართლობის გამოსწორება, ელზას-ლორენის დაბრუნებით; 9) იტალეთის საზღვრების შესწორება ეროვნულ პრინციპზე; 10) ავსტრია-ვენგრეთის ერებისათვის ავტონომიურ განვითარების მინიჭება; 11) აღდგენა რუმინეთისა, ჩერნოგორიისა და ბელგეთისა, უკანასკნელს ზღვაზედ გამოსავალიც მიენიჭოს საერთაშორისო გარანტია ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისათვის; 12) ოტომანის იმპერიის ოსმალეთის ნაწილთა სუვერენტეტის უზრუნველყოფა, ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფ აბსოლუტურ ავტონომიურ თვით-განვითარების უზრუნველყოფის გარანტია, საერთაშორისო გარანტიით დარდანელის გაღება. 13) პოლონელთა მიერ დასახელებულ ოლქებით შექმნა პოლონეთისა, საერთაშორისო გარანტია მისი დამოუკიდებლობისა და ხელუხლებისათვის; 14; საგანგებო შეთანხმებით საფუძველი ხალხთა საზოგადო კავშირისა, დიდ და მცირე სახელმწიფოთა პოლიტიკურ ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ძირითადი პრინციპი ამ პიროვნებისა არის „პრინციპი სამართლიანობისა ყველა ხალხთა და ეროვნებათათვის მათთვის თავისუფალ და უშიშარ ცხოვრების უფლების მინიჭება განურჩევლად: ძლიერნი არიან იგინი თუ სუსტნი".

# კავკასი.

კავკავი ბოლშევიკების ხელშია, თუმცა ფაქტიურად ინგუშები ბატონობენ. მათ მოღვაწეებად ითვლებიან მოზოროეინი, აქრიევი და სხ. სახალხო კომისართა საბჭო მრავალ შემთხვევაში უთმობს ინგუშებს. თერგის ყაზახობა გაყუჩებულია. ხმები იყო, რომ ბაქოელი ბიჩერახოვი ბოლშევიკებს შეება ჰასანიურტასთან, მაგრამ ეს ცნობა არ დამტკიცდა. სიძვირე თანისთანობათ ძლიერდება. თეთრი პური 3 მან. ნავთი 75 კ. ერბო— 10 მ. შაქარი—30 მ. ეხლა 23 მ. კავკავში გაიგზავნა 3000 ფუთი მარილი. ახლა სამაგიეროდ სამხედრო გზით თბილისში მოდის 1000 ფუთი სიმინდი. გზაზე თავისუფალი მოძრაობაა. ძარცვა-გლეჯას ადგილი არა აქვს.

---

რივ სომხებიც არ ჩამორჩენ სხვებს და ინტერნაციონალიზმის წელკავით ავადმყოფ ქართველებს ხედავენ იქ, სადაც სომხებს არაფერი საძებარი არ აქვთ.

მე აქ არ შევეხები საქართველოსა და სომხეთის შორის საზღვრების აღნიშვნას, მხოლოდ ვიტყვი, რომ ვიდრე ქართველი ერი ცოცხალია, მას არ შეუძლია არ დაიცვას თავისი ტერიტორიის მთლიანობა. ამ შეათხვევაში ჩვენ თამამად ვეტყვით სხვებთან ერთად სომხებსაც: „შენი სვი და შენი ჰამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო". ტერიტორიული საკითხი არაა უბრალო მფლობელობის საკითხი და ვერცერთს ნაჭერს ჩვენი ტერიტორიისას ვერავის ვერ დაუთმობთ.

მესამე საკითხი არის გადმოხვეწილ სომხთა საკითხი. ომის უბედურმა პირობებმა დიდძალი სომხობა ჩვენსკენ გადმოისროლა. ეს გადმოხვეწილნი მხოლოდ დროებით თავშესაფარს რომ ეძებდენ ჩვენში, მაშინ საკითხი უფრო მარტივი იქნებოდა. მათ შეძლებისდაგვარად დავეხმარებოდით დროებით იმ იმედით, რომ მომავალში ჩვენ მიწა-წყალს დასტოვებდნენ და თავიანთ გაციებულ კერას დაუბრუნდებოდენ. მაგრამ სულ სხვას ვხედავთ: ბევრი მათგანი ისედაც ეკონომიურ განსაცდელში მყოფ საქართველოში შეუდგა სპეკულაციას, ბევრი ცდილობს ათასგვარ საშუალებით დაეპატრონოს ჩვენ მიწებს, ბევრი პოლიტიკურ აგიტაციას ეწევა ჩვენს წინააღმდეგ. ზოგი სომეხი პუბლიცისტი საყვედურებსაც გვითვლის, როგორ თუ მიწებს არ ურიგებთ ჩვენს ხალხსო. ბატონებო! საქართველოში თვით ქართველთათვის არ არის საკმაო მიწა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფშავ-ხევსურები, სვანები და სხვა მთიელები იმდენად შევიწროებული არიან უმიწა-წყლობით, რომ ხელოვნურად შეაჩერეს გამრავლება. მთელ დასავლეთ საქართველოში თითო კომლზე მოდის სამიოდე დღის მიწა. აღმოსავლეთ საქართველოშიაც ბევრ ადგილას უმამულობით ხალხი შეწუხებულია. ამ პირობებში ის მთავრობა, რომელიც გაბედავდა ერთი მტკაველი მიწა ვინმე უცხოს დაუთმოს, თავისი ერის მოღალატე იქნებოდა.

საზოგადოდ ჩვენ ვუსურვებდით ჩვენს მთავრობას აწარმოვოს სრულიად გარკვეული და მტკიცე საგარეო პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. ყოველი რყევა და გამოურკვევლობა ამ მხრივ ჩვენი მომავლისათვის მეტად საშიში იქნებოდა. ამავე დროს სომხეთთან დამოკიდებულებაში მკაფიოდ დაიცვას საქართველოს ინტერესები, ხოლო ყოველი შესაძლო საშუალებით ხელი შეუწყოს მეზობელ სახელმწიფოსაც მის სახელმწიფოებრივ განმტკიცებაში.

რაც შეეხება სომხეთა საკითხს თვით საქართველოში, ჩვენ აქ მის დაწვრილებით განხილვას არ შევუდგებით. მხოლოდ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ მდგომარეობას. ყველასთვის აშკარაა, რომ საქართველო მიანიჭებს ეროვნულ უმცირესობათ მაქსიმუმს იმისას, რაც კი შესაძლებელია ასეთმა უმცირესობამ მიიღოს ისე, რომ სახელმწიფოს საფუძველი არ შეირყეს.

ამავე დროს ჩვენ უფლება გვექნება მოვთხოვოთ საქართველოს ქვეშევრდომ სომხეთ შესაფერი თავდადებაც მოქალაქობრივ მოვალეობის აღსრულებაში. დასამალი არაა, სომხებს არც ერთ ერში, სადაც მათ ცხოვრება უხდებათ, ვერ მოუპოვებიათ სიყვარული, პირიქით ყოველგან მათ ამლაცერად და უნდობლობით უყურებენ. ერთად ერთი ერი, რომელიც გულ-გაშლილად და კეთილად ეპყრობა სომხებს, ეს ქართველებია. მე მგონია, სომხებმა უნდა დააფასონ ესეთი მოპყრობა და მათდამი მინიჭებულ უფლებით სავსებით ისარგებლონ, მაგრამ არ გადასცილდნენ იმ ხაზს, რომლის შემდეგ მოღალატეობა იწყება. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა სომხეთა წარმომადგენლების განცხადება საქართველოს ეროვნულ საბჭოში, რომელიც ლოიალური და თავდაჭერილი იყო. ჩვენ ველით, რომ ამ განცხადებას მისი შესაფერი მოქმედება მოჰყვება,— ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სომხთა მავნე მუშაობის შეჩერება. შესაძლებელია, სომხებმა ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მუშაობით ბევრი გვავნონ, მაგრამ არ მგონია თვითონ ამ გზით რაიმე ხეირი ნახონ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მთავრობა აწარმოვებს უფრო მკვიდრ და ძლიერ საშინაო პოლიტიკას. განუსაზღვრელი, მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი თავისუფლება მხოლოდ დამნაშავეთათვის არის ხელსაყრელი. ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს თავისი უფლება, მაგრამ უნდა გრძნობდეს თავის მოვალეობასაც, პასუხის მგებლობის შეგნებას, რომ სახელმწიფოს ღალატი ადვილად არ შერჩება დამნაშავეს, ბევრს დაუკარგავს სურვილს ჩვენ წინააღმდეგ იმუშაოს. მასთან ერთად ის მოქალაქეობრივ მშვიდობიანობის და უმტკივნეულო კულტურულ მუშაობის შესაძლებლობა, რომელიც სომხეთ წინ ეშლებათ, იმედი უნდა ვიქონიოთ მათშორის უფრო მეტ წინდახედულებას გამოიწვევს და გაამრავლებს ისეთ სომხეთა რიცხვს, რომელნიც თავის ეროვნულ თვისებებსაც დაიცავენ და საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქენიც იქნებიან.

**პ. სურგულაძე.**

# უცხოეთის ამბები

**ყუბანში**

დონის და ყუბანის შუა გამართლი მოლაპარაკება გაჭიანურდა. დონის და ყუბანის ყაზახობა ძნელად თუ გაერთიანდება ეხლა. ალექსეევის ლაშქარი ძლიერდება. მეხუთედს მის ლაშქის თითქმის აფიცრობა, შეადგენს.

# გ. საბაშვილის წერილის გამო

ქვემოდ მკითხველი წაიკითხავს სასურსათო მინისტრის ყოფილი ამხანაგის გ. პ. საბაშვილის წერილს. იგი აცხადებს, რომ „ის ცნობები, რომელიც მოყვანილია იასონ ლორთქიფანიძის წერილში „სასურსათო საქმე“ (იხ. „საქართველო“ № 185) ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ „სიმართლეზე არ არის აგებული“. ამ საყვედურით გ. პ. საბაშვილს უნდა მიემართა მთავრობის თავმჯდომარისათვის, რადგან ლორთქიფანიძის წერილში ეს ცნობები მოყვანილი იყო არა როგორც ავტორის მიერ შეკრებილი, არამედ როგორც ნ. ჟორდანიასგან გამოქვეყნებული ეროვნულ საბჭოში.

ამას გარდა გ. პ. საბაშვილის განმარტება სხვა მხრივაც არის საინტერესო. გ. საბაშვილის სიტყვით, თორმეტ ხელშეკრულობიდან სამი უკვე შესრულებულია, ორს ჯერ ვადა არ გასვლია და მხოლოდ შვიდი გაუქმებია თვით სამინისტროს. მთავრობა კი ცდილა გაეუქმებია ერთი ხელშეკრულება, მაგრამ ისიც ვერ მოუხერხებია. ნ. ჟორდანია კი ეროვნულ საბჭოში ამტკიცებდა თორმეტი ხელშეკრულობიდან თერთმეტი არა სამინისტრომ არამედ თვით მთავრობამ გააუქმა, რადგან მათმა შესწავლამ და გარჩევამ დაგვიმტკიცა, რომ იგინი საზარალო იყვნენო. ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ამ შემთხვევაში მართალი, მხოლოდ ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ განსხვავებას, როგორც იმის მაჩვენებელს, თუ როგორი არევ-დარევა სუფევს ჩვენს მთავრობის წარმომადგენლებთა შორის თვით უბრალო ფაქტის გარდმოცემაშიაც კი.

საბაშვილის წერილში განმარტებული არ არის, მაგრამ ეტყობა, რომ იმ ორ ხელშეკრულობიდან, რომელთაც ვადა არ გასვლიათ, ერთი უნდა იყოს ადერბეიჯანთან დადებული პირობა, რომლის გაუქმებას ცდილა ჩვენი მთავრობა და ვერ მოუხერხებია, ხოლო მეორე „კომერსანტთან“ დადებული ხელშეკრულობა. ერთისა საზარალო ხასიათს ამტკიცებს მთავრობის უნაყოფო ცდა იმის გაუქმების შესახებ და მეორისას კი ეროვნულ საბჭოში და „საქართველოს ეკონომისტში“ (№ 2) გამოქვეყნებული ცნობები.

გ. პ. საბაშვილის აზრით ვადა გასული და ამიტომ გაუქმებული შვიდი ხელშეკულობა რომ ძლიერ სასარგებლო ყოფილიყო კონტრაგენტებისათვის ისინი მათ შეასრულებდნენ. გ. საბაშვილი არ ამბობს, რომ ამ ხელშეკრულობათა შორის, ბევრია ისეთი, სადაც კონტრაგენტებმა უკვე ისარგებლეს და პირობანი კი არ შეასრულეს, მაგ. ხელშეკრულობა ლავასოვისა, რომელსაც ხუთი ათას მანეთის საწინდარში ფულის ნიშნების უქონლობის დროს უკვე გაუნაღდებია სამინისტროს დახმარებით 1.600 ათასი მანეთის ჩეკები. არ გვგონია გ. საბაშვილს გულწრფელად სწამდეს რომ ასეთი ოპერაციები სასარგებლო იყოს სახელმწიფოსათვის და საზარალო კონტრაგენტებისათვის.

ამგვარი ფაქტიური ზარალი კიდევაც რომ არ იყოს, განა თვით ხელშეკრულობების შეუსრულებლობა უდიდესს ზარალს არ წარმოადგენს? უპურობის დროს, შიმშილისა და ანარქიის ასაცდენად და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დასაცავად მთავრობა ეკვრის კონტრაგენტებს პურის საჩქაროდ ჩამოსატანად. მოლაპარაკებაში, პირობის შეკვრაში და ცდაში დრო გადის, კონტრაგენტები უარს ამბობენ, მთავრობა უარეს მდგომარეობაში ვარდება.

ჩვენთვის უპირველესი სარგებლობა იმაში იქნებოდა, რომ პირობანი შესრულებული იყოს და არა იმაში რომ თვითეულმა კონტრაგენტებმა ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ უარი სთქვას და ამით დაგვარწმუნოს, რომ მისთვის ეს თუ ის პირობები სასარგებლო არ ყოფილა. თუ სხვა გვარ შეხედულებას ვიზიარებთ, მაშინ რაღას ერჩოდემ რუსეთში სამხედრო მინისტრს სუხომლინოვს, რომელიც პირობით შეეკრა მტრებისაგან გამოგზავნილ ვიღაცა პირს, ბეთ რამოდენიმე მილიონი გამოართვა და ამ პირობაზედ დროს გაჭიანურების შემდეგ უარი განაცხადა?

**რედ.**

# საბედისწერო პოლიტიკა

რუსეთში მომხდარ პოლიტიკურ რევოლუციამ შეძლება მისცა საქართველოში მომქმედ რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახით შექმნა და განემტკიცებია თავისი პოლიტიკური გავლენა და ჰეგემონია... დღეს თუმცა საბჭოები არხივს ჩააბარეს,—სოც.-დემ. მაინც ბატონობს და ხელმძღვანელობს ჩვენს პოლიტიკას. არც ობიექტიური და არც სუბიექტიური პირობები არ აძლევდა მათ ნებას პოლიტიკური ძალა უფლება ხელში აეღოთ და ბატონობა დაემკვიდრათ... და თუ ეს მოხდა, მოხდა უმთავრესად ფიზიკური, უხეში ძალის შემწეობით, კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მყოფ რუსეთის ჯარის შეტაკების რეზონით...

ერთ მხარეზე დაგროვილია მუშათა ლეგიონები, პროლეტართა ჯარები და მეორე მხრით რამოდენიმე ათეული მსხვილ მწარმოებელთა, კაპიტალისტთა, რომელთა ხელში მოექცა მთელი ნაციის ქონება, ავლა-დიდება.—ნუ-თუ ჩვენი ცხოვრება იმ საფეხურზე ავიდა, რომ პროლეტართა სათავეში მდგომს, სოც.-დემოკრატიას შეძლება მიეცა ქართველი ერის სახელით ელაპარაკნა, ქართველ ერზე ებატონა, ვითომ და იმიტომ, რომ ქართველი ერი და ქართველი პროლეტარიატი ერთი და იგივე მცნებაა, სინონიმებია...

შეიძლება ოდესმე ეს ასეც მოხდეს, —მაგრამ დღეს სინამდვილე სულ სხვა რამეს წარმოადგენს...

დღეს კავკასიაში და კერძოთ საქართველოში კაპიტალისტური ფორმა წარმოების სრულიად არ არის ტიპიური, მით უფრო, გაბატონებული ფორმა; უფრო მეტი კიდევ, ზოგიერთი ეკონომისტი იმ აზრის არი, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო მოკლებულია ყოველგვარ წარმოებას, ამ სიტყვის ევროპიულ მნიშვნელობით; მათი აზრით კავკასიის ქვეყნები არიან ეკონომიურად მეტად ჩამორჩენილნი, რომ ისინი არიან სოფლის მეურნეობის ქვეყნები, და მეურნეობაც იქ მეტად პრიმიტიულ საფეხურზე სდგასო. მაშ საიდან იქნებიან ჩვენში პროლეტართა ჯარები, მრავალ რიცხოვანი მუშათა კლასი, მომწიფებული და მომზადებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობისთვის?..

დანამდვილებით ითქმის რომ საქართველოში არ არსებობს მუშათა კლასი..

რაც შეეხება სუბიექტიურ პირობებს-სოც.-დემ. პარტიის შემადგენლობაში, აქაც უნდა ითქვას, რომ ეს პირობები მათ არ აძლევდა უფლებას მთელი ქვეყნის მართვა გამგეობა ხელში ჩაეგდოთ. თუ ევროპაში პოლიტიკური პარტიების შტაბები სავსეა მეცნიერებით, სახელმწიფო მოღვაწეებით და მომზადებულ სპეციალისტებით, სოც.-დემ. პარტია საქართველოში კულტურულად მეტად ღარიბია: ორიოდე ჟურნალისტი და რამოდენიმე პროვინციის ადვოკატი—აი მთელი მათი შტაბი, მათი კულტურული ავლადიდება...

გრძნობენ რა თავის უვარგისობას სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმეში სოც.-დემოკრატები იმას გაიძახიან, რომ ხალხის უმრავლესობა მათ მისდევს, მათ ემხრობა, მათ უჭერს მხარს. ეს მთლად ასეც არ არის: ხალხის უმრავლესობა წინეთ მისდევდა სოც.-დემოკ. დღეს, კი ხალხი ბოლშევიზმის ბურუსშია გახვეული; ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში მოხდა ბოლშევიკური გამოსვლები; მხოლოდ გურია არ ჩარეულა იმ ფერხულში და ისიც იმიტომ, რომ ოსმალეთის შემოსევამ გურიას ყველაფერი დაავიწყა. ხალხის ბოლშევიკურ გამოსვლებს სოც.-დემ. პარტიამ ექსპედიციებით უპასუხა (ეს ასეც უნდა მომხდარიყო). აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დღეს ხალხის მასსა მათ, სოც.-დემ., არ მისდევს; ეს მასსა იმას მიჰყვება ვინც მეტს პირდება. დღეს ბოლშევიკები მეტს ჰპირდებიან. ხალხი არც წინად იყო შეგნებული მენშევიკი სოც.-დემ., არც ეხლა არის ბოლშევიკი. ასე რომ, ხალხი სოც.-დემ. მიჰყვებაო,—უმნიშვნელო ფრაზაა და მეტი არაფერი.

რომ მარტო სოც.-დემ. პარტია ხელმძღვანელობს და აწარმოებს ჩვენს პოლიტიკას ეს ყველასათვის ცხადია, მათ ხელშია დღეს პოლიტიკური ჰეგემონია, დიქტატურა... არაფერ შეთანხმებაზე ისინი არ ფიქრობენ, არავის და არაფერს ანგარიშს არ უწევენ, დ თვითმპყრობლად მართავენ ქვეყანას.

ესეც არ არის მართალი,—მათი ბატონობა არის სოციალისტურ დემოკრატიის ბატონობა, თორემ ზოგადი დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებაში მათ ინტელიგენციაც დაეხმარებოდა და ბურჟუაზიული ელემენტებიც. ეს ორი ძალა კი სოც.-დემ.-ბმა გარიყეს, ახლოსაც არ გაიკარეს, მასთან არავითარი კავშირი, კოალიცია არ დაიკავეს და მარტო თვითონ ჩაიგდეს პოლიტიკური ბატონობა ხელში...

მთავრობაში მიპატიჟებულ პირებსაც ამხანაგებად და თანაშემწეებათ სოც.-დემ. პარტიის წევრები დაუნიშნეს... ასე რომ მთავრობის, სამინისტროს ერთგვარობა (სოციალისტური) ბოლომდე გაატარეს. **პრაქტიკული** შედეგები მათი ბატონობისა შინაურ პოლიტიკაში მეტად გამოუსადეგარი და უვარგისი იყო საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის.—გარეშე პოლიტიკაში კი მათი ბატონობა საბედისწერო გახდა საქართველოსთვის. გატაცებულნი თეორიებით, სოც.-დემ. ანგარიშს არ უწევდა საქართველოს გარეშე რეალურ პირობებს, თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საქართველოს გარეშე მდგომარეობას...

საქართველოს გარეშე მტრებს არ ეძინა და მზადებაში იყვნენ... მადა გახსნილი ოსმალეთი ოცნებობდა საქართველოს დაპყრობაზე—სოც.-დემ. კი ხელსაც არ ანძრევდა, რომ ჯარი შეექმნა, რომ მტერთან ბრძოლაში თანასწორი იარაღი გვქონოდა... სოც.-დემ. ბატონობის შემწეობით ქართველმა ერმა დიდი საცადელი და სირცხვილი გაიარა, ბათუმი—ეს ჩვენი სედანი, დაუვიწყარი იქნება ქართველი ერისთვის, მან დიდი ჩირქი მოსცხო ქართველ ერს, მის ეროვნულ თავმოყვარეობას, არსებობას... ბათუმის ხელშეკრულობამ ხომ ხელში მიგვცა ოსმალებს,—ტერიტორიის მოგლეჯა, ჯარის გატარება, სურსათის რეკვიზიცია, ჩვენი ჯარის შემცირების მოთხოვნა—ყველაფერი ეს საქართველოს სუვერენობის მოსპობას ნიშნავდა...

და თუ საქართველო არ მოისპო ეს გერმანეთის დახმარებით მოხდა... გერმანეთმა გამოგლიჯა საქართველო ოსმალეთს, რომელსაც ის სოც.-დემ. ბატონობამ არგუნა ეს შემთხვევით და სასწაულით მოხდა მაგრამ, სანამდი უნდა ვიცხოვროთ სასწაულით.

ი. ჰ.

# კორესპონდენცია

## აბასთუმანი

ოსმალები რომ აბასთუმანში შემოვიდნენ სიწყნარე ჩამოვარდა. მათ შესამჩნევი არა დაუშავებიათ რა, ხოლო ხანდისხნობით ახდენდნენ რეკვიზიცის —პურისას, საპნისას და სხ. როცა აბასთუმანი საქართველოს ხელში გადავიდა, მაშინ ოსმალებმა დაიწყეს აქედან აბასთუმანის ქონების გაზიდვა. სასახლეებიდან წაიღეს — ვერცხლი, მდიდარი სურათები, რაც ომამდე 5—10 ათასი მანეთი ჰღირდა, შემდეგ შეუდგნენ ავეჯეულის, თეთრეულის, ჭურჭლის და სხ. მოწყობილობის გაზიდვას. ევაკუცია მოახდინეს კერძო აგარაკებში, დააცალიერეს ბ. კარაბეგოვის, ონისიმოვის, მირაქოვის და სხ. აგარაკები.

ყველა საქონელი ახლობელ მაჰმადიან სოფლებმა წაიღეს. 15 მარიამობისთვემდე აბასთუმანი გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროს გავარდა ხმები, ოსმალები ხელმეორედ აპირებენ აბასთუმანის გაძარცვასაო, ხმები გამართლდა და დაიწყო ურმების ჭრიალი, დაიწყო ტვირთის ზიდვა. გაზიდეს ყველაფერი, ძველი, ახალი, და აღარაფერი არ დაარჩინეს.

28 ეკენისთვეს აქ ჩამოვიდნენ ქართული ჯარები და გაოცდნენ, თუ რანაირად იყო გაძარცული აბასთუმანის სიმდიდრე.

რადგანაც ახლა საზღვარი აბასთუმნიდან გამოსავალზე მიდის, ოსმალები ახლო-მახლო სოფლელებს არ უშვებენ აბასთუმანში, ამისობით, ქალაქს სურსათი მოაკლდა. ახლა აბასთუმნის რაზმის მეთაურის პოლკ. კვინიხიძის და როტმისტრ წულუკიძის მეთაურობით დადებულ იქმნა ოსმალებთან კონტაქტი, რომლითაც ფქვილს თვითონ ოსმალები შემოჰზიდავენ, მხოლოდ „ნიკოლო“ ფულით. აბასთუმანში ფოსტა-ტელეგრაფი შესწყდა. საჭიროა მისი აღდგენა, თორემ გაჭირვება დიდია. აბასთუმანში ცხოვრება შედარებით გაიაფდა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

„საქართველოს“ მე 185 №-ში მოთავსებულია ბ. ი. ლორთქიფანიძის წერილი—„სასურსათო საქმე“, რომელში, სხვათა შორის, ნათქვამია. „თორმეტ ხელშეკრულებიდამ, რომელიც შეუკრავს სასურსათო უწყებას სხვა და სხვა კონტრაგენტებთან, თერთმეტი იმდენად საზარალო ყოფილა, რომ მთავრობას იგინი ან შეუჩერებია, ან გაუუქმებია და მხოლოდ მეთორმეტე, სახელდობრ „კომმერსანტთან“ დადებული ხელშეკრულება უცვნია არა საზარალოდ“.

საჭიროდ ვცნობ განვმარტო, რომ ეს ცნობა სიმართლეზე აგებული არ არის. ნამდვილად კი საქმე ასეა: თორმეტ ხელშერულებიდან შვიდი გააუქმა თვით სასურსათო სამინისტრომ, რადგან კონტრაგენტებმა ვადაზე ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა *), სამი ხელშეკრულება შესრულებულ იქმნა ვადაზე და ორს ჯერ ვადა არ გასვლიათ.

არის ერთი ხელშეკრულება ადერბეიჯანის მთავრობასთან, რომლის გაუქმება სურდა მთავრობას, მაგრამ მგონი, მან ეს ვერ შესძლო. აღვნიშნავ, რომ ამ ხელშეკრულებაზე მე ხელი არ მიწერია.

პ. საბაშვილი:

4. ოქტ. 1918 წ.

პ. ს.

**ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსგან!**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ შემდეგი ქართველ საზოგადოებას: გაზეთ „კლდის“ მე-3 №-ში მოთავსებული იყო ანონიმი წერილი შემდეგი სათაურით: „მილოვი და გ. ჟურული“, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო შემდეგი: „შეიძლება გ. ჟურულს მარტო იმ მეორე ჯამაგირით „მოუხდეს დაკმაყოფილება, რომელიც შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარეობისთვის ეძლევა“.

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სახელით, მაქვს პატივი განვაცხადო რომ მას შემდეგ, რაც ხსენებული საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჟურული არჩეულ იქმნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრათ, მან უარი განაცხადა შავი ქვის საბჭოდან ჯამაგირის მიღებაზედ და ამ ჟამად იგი ამ დაწესებულებიდან არაფერს არ იღებს.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თამჯდომარის მოადგილე **სოლომონ წერეთელი.**

# თეატრი და მუსიკა

**პოეზიის საღამო.** შაბათს, 6 ოქტომბერს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის საღამო. რევოლუციის დაწყებიდან გ. ტაბიძე იმყოფებოდა მოსკოვში და ეხლა დაბრუნდა საქართველოში; თბილისში ის არ ყოფილა 8 წელიწადი. მეგობრებმა გაუმართეს საღამო, რომ თბილისისთვის გაეცნოთ მისი პოეზია. საღამო გახსნა და პირველი სიტყვა წარმოსთქვა გრიგოლ რობაქიძემ. შემდეგ გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაზე ილაპარაკეს ვ. კოტეტიშვილმა, ალ. არსენიშვილმა და ტიციან ტაბიძემ. მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ გალაქტიონ ტაბიძე ერთად-ერთი პოეტია „ცისფერი ყანწების“ ჯგუფის გარეთ, რომელიც დღეს იპყრობს ყურადღებას.

მისი დაშორება „ყანწელებისაგან“ მხოლოდ ფორმალურია და შემთხვევითი.

შემოქმედებით ის ახლო დგას ამ ჯგუფთან და „ცისფერ ყანწებში“ დაიბეჭდა მისი საუკეთესო ლექსი „ლურჯა ცხენები“. შემდეგი მისი განვითარებაც უნდა მოხდეს ამ გზით, რადგან სხვა გზა იქნება გადახრა იმ ბანალობისკენ, რომელშიაც იხრჩობა დღეს, ან დაიხრჩო კიდეც ქართული პოეზია „ყანწებამდი“. ახალ წაკითხულ ლექსებში გ. ტაბიძემ დაამტკიცა, რომ ის სწორედ მიდის ახალ გზაზე. საზოგადოება მხურვალედ შეეგება მგოსანს, რომელმაც წაიკითხა რამდენიმე ლექსი. ამის გარდა ლექსები წაიკითხეს: გრ. რობაქიძემ, ტიციან ტაბიძემ, ლელი ჯაფარიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ლადო მაჰავარიანმა და გრ. ცეცხლაძემ.

ეს საღამო პოეტისთვის უთუოდ გამარჯვებით გათავდა.

**სამხატვრო თეატრი.** სულ მოკლე დროში ტფილისში გაიხსნება სამხატვრო თეატრი ერიციანისა. ახალ თეატრში მოწვეულია ტფილისის საუკეთესო არტისტები. სამხატვრო ნაწილს განაგებს ს. მ. ევსეევა მიხაილოვსკაია, მთავარ რეჟისორად არტისტი მოსკოვის სახელმწიფო თეატრების თ. რადიულინი.

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს მიდის „რიგოლეტო“. სხვათა შორის იმღერებს ტ. ორდა. დირიჟორობს სამოსუდი.

**დრამა „ტარტო“**, „უდანაშაულოდ დასჯილნი“, ოსტროვსკისა. მთავარ როლებში: როკსანოვა, სატინა, რეიხშტატი, მიხაილოვა, ნილოვი.

**„ლადია არგონავტოვ“.** დღეს უკანასკნელი დღეა ახალი პროგრამის მე-8 ციკლისა. მონაწილეობენ ბურავოცეხანოვსკაია, სეკანოვა-ზელიონაია, ოლენინი, ასკოლოდივი. დადგამენ: „სტატისტიკას“, „მკვდრეთით ამდგარი ბოკაჩიო“, „Pael Mael“ და სხ.

*) კონტრაგენტებისთვის ეს ხელშეკრულებანი რომ ძლიერ სასარგებლო ყოფილიყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მათ შეასრულებენ.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |
| **თბილისში მოვა** | | | | |
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

# დაიკარგა

**ატესტატი** თბილისის მე-2 უმაღლეს პირველდაწყებით რკინის გზის სასწავლებლის მიერ მიცემული **პეტრე ნიკიტას ძე ზაეცის** სახელობაზე. ატესტატი გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 1—1794—1

# ქართულის კარგი მცოდნე

კისრულობს: მოხსენებათ, პროექტების, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.

მიჰმართეთ „საქართველოს“ რედაქციაში მდივანს, დილის, 9 სათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

# ვამზადებ ქართულ ენაზე ბავშვებს

1-ლ და მე-2-რე კლასისთვის, ჩემ შვილებთან ერთად. მოსწავლეთა რიცხვი შესდგება ორი ჯგუფისაგან. ჯგუფში მხოლოდ 5 ბავშვი იქნება მიღებული. ქართულ ენაში ჩამორჩენილ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ახალი ენები მსურველთათვის განსაკუთრებულ ფასში.

მოსალაპარაკებლად 4—7 საათამდე. ნოვობებუთოვის ქუჩა 9. მეორე სართულში. ბინა № 4. **ტელეფონი 10—02.** (2—1791)

# ინტელიგენტ ქალთა წრე

**იღებს შესაკერავებს** როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა“-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის“ სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჟკები“. სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბინა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—6

**ექიმი**

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ.—1536—50

**ქალ. ქუთაისში**

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

# საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძე**

# კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

# სამკურნალო

**უოველგვარ ავადმყოფთათვის**

**ექ. ი. მ. მძინარიშვილის და ლ. ბ. ნაზარბეგიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის, ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

**მედიცინის დოქტორი**

**ბერლინის უნივერსიტეტისა**

# პ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**გაიხსნა**

# თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

# ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

**ექიმი**

# მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

**დოქტორი მედიცინა**

**მიხეილ ანტონის ძე**

# კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.